# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 27 აგვისტო 1993 № 8 (55) ფასი 70 კაპიკი



2 ავარია საზღვრისთან... სამი დინამოელი სიკვდილს გადაურჩა

3 გაუჭირდა „მილანის“ პრეზიდენტსაც

ზეგ იტალიის ჩემპიონატი იწყება

7 ლიგა — სახვალიო საქმე
კალათბურთის ეროვნული ლიგის შექმნა გადიდო

8 კურიე და გრაფი
ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგი


# 1 000 000



## მას, ვინც ვესლი ლემონს გოლს გაუტანს!!!

შ.პ.ს. „ლომბარდისა“ და „სარბიელის“ სპეციალური ჯილდო ჩემპიონთა თასის გათამაშებაში თბილისის დინამოელთა მიერ გატანილი ყოველი გოლისთვის


იხილეთ მეექვსე გვერდი




## მესხი — მესამე წრეში

საჩოგბურთო სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი შეჯიბრების — აშშ-ის ღია ჩემპიონატის წინ მსოფლიოს წამყვანი „ჩოგნები“ სხვადასხვა ტურნირში ცდიან ძალებს. ნიუ-იორკის მახლობლად, სკენექტადის 100 ათას დოლარიან ასპარეზობაში წარმატებით გამოდის ლეილა მესხი. ქართველმა ჩოგბურთელმა პირველ წრეში უძლიერესთა კლასიფიკაციაში 37-ე საფეხურზე მდგომ კანადელ პატრისია ჰაის სძლია — 7:5, 6:2. მომდევნო შეხვედრაში კი სამხრეთ აფრიკელ ელნა რეინაჰს აჯობა — 6:2, 6:4.

## შემოდგომის სარაგბო სონატა

მაზეგ, ორშაბათს საქართველოში რაგბის საშინაო სეზონი განახლდება. საქართველო უთუოდ ჩვეულების გამო ვახსენეთ, თორემ, თბილისი ან ვაკე რომ გვეთქვა, უფრო უპრიანი იქნებოდა, რაკიღა ბოლო დროის მოვლენებმა ერთობ დააკნინა ჩვენი რაგბი და მისი გავრცელების არეალი ლამისაა დედაქალაქის ერთი სტადიონით შეზღუდოს. თუმცა, როგორც ირკვევა, მორაგბეებს ახლა იმ ერთ ასპარეზსაც აღარ ანებებენ. ამაზე და ბევრ სხვა რამეზეც მეოთხე გვერდზე გვექნება საუბარი, აქ კი პირველ ტურში მოასპარეზე წყვილებს გაგაცნობთ:



ორშაბათს ვაკის სტადიონზე პირისპირ უნდა წარსდგნენ: „შევარდენი“ — „აზოტი“, „ამირანი“ — „ვესტა“, „ქორები“ — „ყოჩები“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისი 18.08 — 1.09 ბელფასტი

დინამო — ლინფილდი

ქალაქში ხმა გავრცელდა, ჯამარაული, ლობჟანიძე და ზოიძე ამ უკანასკნელის მანქანით ავარიაში მოყვნენ და დაიმტვრნენო. ერთი პირობა შევშფოთდი, მაგრამ რადგან მათ რიცხვში ლობჟანიძეც ერია, ვიცოდი, მისი იღბლიანი ფეხის წყალობით ბიჭები განსაცდელს გადაურჩებოდნენ. ყოველ შემთხვევისთვის მაინც მივაშურე დილმის ბაზას და

**დიდი ბრიტანეთის საელჩოში ჩვენი ვიზების გაფორმება.**

— მართლაც ძალიან გაძნელდა. იმედია, გუნდს უეჭველად მისცემენ ვიზებს. რაც შეეხება ტურისტულ ჯგუფს, ალბათ, ისინი ვერ გაემგზავრებიან ბელფასტს. ასე, რომ ისევ ხლაფორთი და ფინანსური დანახარჯები მოგვიწევს. ახლახანს დავურეკე ბატონ ალექსანდრე ჩიკვაიძეს და

**ქვეყნის ჩემპიონს. „კოპენჰაგენზე“ მასალებს ხომ არ აგროვებთ უკვე?**

— ჩვენი წარმომადგენელი გერმანიაში უკვე დაესწრო დანიელთა თამაშს და გარკვეული მასალა მოიპოვა „კოპენჰაგენზე“.

...მერაბის სიტყვების როგორ არ მჯერა, მაგრამ მაინც მოვინახულე კატასროფაგამოვლილები. პირველი, რა თქმა უნდა, ლობჟანიძე შემხვდა.

# იღბლიანი ლობჟანიძის წყალობით...

**მერაბ ჟორდანიას ვთხოვე, ყველაფერი დაწვრილებით მოეთხრო.**

— საღამოს ათის ნახევარზე, ვაჟა ფშაველას გამზირზე, რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან მიდიოდნენ ბიჭები ზოიძის 09 მარკის ჟიგულით, როცა მოსახვევიდან დიდი სიჩქარით გამოიჭრა მანქანა, ვიღაც, რომ იტყვიან, უგონოდ მთვრალი მძღოლით და პირდაპირ შეასკდა ბიჭებს. ბედად ვართ გადარჩენილები, მხოლოდ პატარ-პატარა ნაკაწრები აქვთ ბიჭებს. მანქანა კი გადასაგდებია. მაგათ რომ რაიმე მოსვლოდათ, ის მძღოლი ცოცხალი ვერ გადამირჩებოდა.

**— როდის დაიწყებენ ვარჯიშს?**

— სამივე ვარჯიშობს უკვე. ჩემის აზრით, პირველი სექტემბრისთვის მზად იქნებიან, თუმცა სჯობია მაინც ბატონ ზაქრო თელიას დაეკითხო.

**— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, როგორც შევიტყვე, ძალზე გაძნელებულა**

დახმარება ვთხოვე, იმედი მაქვს მისი ავტორიტეტი ბრიტანელ ბიუროკრატებზე დადებითად იმოქმედებს. კოტე გაბაშვილის იმედიც მაქვს...

**— მაინც რა არის მიზეზი ასეთი გაჭიანურებისა?**

— ჩრდილოეთ ირლანდია, მოგეხსენებათ, ტერორიზმის ქვეყანაა. ამიტომაც იქ ჩასვლა ძალზე გაძნელებულია. ის კი არა და ერთ კურიოზულ ფაქტსაც გეტყვით: როგორც მასპინძლებმა გვითხრეს, ჩვენი გუნდი იქ... ერთ-ერთ „კოლეჯის“ საცხოვრებელში დაბინავდება. მიზეზს არ იკითხავთ? — ყველა სასტუმრო ანაფეთქებია და უსაფრთხოების გარანტიას ვერ იძლეოდნენ ვერცერთ ოტელში. ირლანდიური ტერორისტული ორგანიზაცია — ირლანდიის რესპუბლიკური არმია (IRA), შესაშური გულმოდგინებით განაგრძობს აფეთქებათა სერიას.

**— იმედია, დავძლევთ ტერორისტული**

— შეიძლება ითქვას, რომ ბეწვზე გადავრჩით. ვინც მანქანა ნახა, ყველა ამბობდა, რომ აქ ცოცხალი არავინ გადარჩებოდაო. ისევ ზოიძის რეაქციამ გვიხსნა, მან მაინც მოასწრო მანქანის იმგვარად შემოტრიალება, რომ ყველაზე ნაკლები დარტყმა მიგვეღო. მარტო კარში დგომა კი არ იცის...

ჯამარაული და ზოიძეც მხნედ გრძნობენ თავს. შემდეგ „ბოდიში მოიხადეს, ვარჯიშზე გვაგვიანდებაო“ და ფორმის ჩაცმას შეუდგნენ.

საბოლოო დიაგნოზისთვის მაინც ბატონ ზაქრო თელიას მივაკითხე:

— ყველაფერი წესრიგშია, ოდნავ მაღელვებს ჯამარაულის მდგომარეობა, ის ყველაზე მეტად დაზარალდა, მაგრამ ვფიქრობ, პირველ სექტემბერს გოჩაც მზად იქნება.

მამუკა კვარაცხელია

## საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ჯგუფი

### IV ტური

**ალმოსავლეთი**

**მარგვეთი 3 — საპოვნელა 1**

ზესტაფონი, ცენტრალური სტადიონი
23 აგვისტო

მარგვეთი: ბაბუაძე, მანაგაძე, გურიელიძე, გიგატაძე, ლონლაძე (ჩიხლაძე, 42), ნიქარიშვილი, გიორგაძე, ხუნდაძე, მეგრელაძე, სუხიაშვილი (გაბრიჭიძე, 70), შენგელია.
საპოვნელა: თევზაძე, ბრეგვაძე, გენაძე, ჯ. ჭულუხაძე (ხვარეშია, 36), ძიძიშვილი, უკლება, ტუხაშვილი (ჩინჩლაძე), ქურცაძე, გოდერძიშვილი, ახვლედიანი, გურაბანიძე.

1:0 მეგრელაძე (3)
2:0 მეგრელაძე (8 პ)
3:0 მანაგაძე (52)
3:1 ჩინჩლაძე (75)

პენალტი ვერ გამოიყენა უკლებამ (78)
მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

**დილა 2 — ივერია 1**

გორი, ცენტრალური სტადიონი
23 აგვისტო

დილა: ვოლკოვი, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე, გაგნიძე, თარხნიშვილი, მეტრეველი, მარეხაშვილი, მიქელაძე, ტაბატაძე (ცხადაძე, 87), ციცქიშვილი, წკრიალაშვილი (რევაზიშვილი, 83)
ივერია: ტოგონიძე, ჯიკაევი, მჭედლიშვილი, ჩადუნელი, სამხარაძე, ხარაზიშვილი (ტყემალაძე, 46), მაქაცარია, ტარიელაშვილი, მარლიშვილი, ქობელაშვილი, ბაკურაძე.

1:0 მარეხაშვილი (16 პ)
1:1 ქობელაშვილი (77)
2:1 გაგნიძე (83)

გაფრთხილება: სამხარაძე
მსაჯი: რ. გარნოვსკი (სამტრედია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 3 | 3 | 0 | 0 | 17-2 | 9 |
| შევარდენი 1906 | 3 | 2 | 0 | 1 | 7-7 | 6 |
| მალაროელი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-5 | 6 |
| ივერია | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| კახეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| საპოვნელა | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| ერქვანი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-9 | 4 |
| დილა | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| მრეტები | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| მეტალურგი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| მარგვეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-7 | 3 |

დღეს ერთმანეთს ხვდებიან:
ალმოსავლეთი: მარგვეთი — შევარდენი 1906, მეტალურგი — დინამო, კახეთი — საპოვნელა, დილა — მალაროელი, ივერია — მრეტები.
დასავლეთი: ცხუმი — მზიური, ოდიში — ამირანი, ბათუმი — სამგურალი, გურია — შუქურა, სამტრედია — ტორპედო.

**დასავლეთი**

**ტორპედო 1 — კოლხეთი 1913 0**

ქუთაისი, ცენტრალური სტადიონი
23 აგვისტო

ტორპედო: ნიშნიანიძე, ნოზაძე, ჩხაბერიძე, მესიაჩენკო, ხართიშვილი, სადილიანი, ვოსკანოვი, გიორგობიანი (ჯინჭარაძე, 78), მაღლაკელიძე, ხუჭუა, კვეტენაძე (ვაჩიბერაძე, 78).
კოლხეთი 1913: დევაძე, თიბილაშვილი, კაკაჩია, მაჭავარიანი, ქუნთელია, მიქაბერიძე, გოროზია, მახარაძე, ჯულელი, დარასელია, ბულუხია.

1:0 ნოზაძე (70 პ)

გაფრთხილება: ვოსკანოვი
მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

**მზიური 2 — ოდიში 1**

გალი, ცენტრალური სტადიონი.
23 აგვისტო

მზიური: ფიფია, ეთერია, ზ. კვეკვესქირი, დ. ლურწკაია, თ. ლურწკაია, ხერგიანი (დ. კვეკვესქირი, 88), კ. კვეკვესქირი, თორია (მატუა, 87), ყოლბაია, ჩხეტია, ქანთარია.
ოდიში: მიქავა, ჯოლოხავა, მესხი, თუთბერიძე, გაფრინდაშვილი, გაბედავა, კვარაცხელია (კუტალია, 80), გუგუჩია, დარასელია, ქანთარია, აფაქიძე (ნიტაიშვილი, 80).

0:1 გუგუჩია (37)
1:1 ჩხეტია (42)
2:1 კ. კვეკვესქირი (85)

გაფრთხილება: თუთბერიძე, აფაქიძე, თ. ლურწკაია
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

**სამგურალი 2 — სამტრედია 1**

წყალტუბო, ცენტრალური სტადიონი.
23 აგვისტო

სამგურალი: კიკალეიშვილი, მუშკუდიანი, რ. იობიძე, გ. ჯანელიძე, ვ. ფესტვენიძე (კ. ჯანაშია, 80), ჭ. იობიძე (მაღლაკელიძე, 46), ცნობილაძე, ქობულაძე, ხურცილავა, ვ. ჯანელიძე, ხარაბაძე.
სამტრედია: მიქაძე, იონანიძე, სიდამონიძე, ბზიკაძე, ვაშაკიძე, წულაია, ამაშუკელი, ჭყონია, დ. ჯანაშია, ფანჩულიძე, გოგელიძე (ტონია, 65).

1:0 ფესტვენიძე (15)
1:1 ჭყონია (25)
2:1 ფესტვენიძე (44)

გაფრთხილება: დ. ჯანაშია, გ. ჯანელიძე
მსაჯი: შ. ხანიაშვილი (თბილისი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| გურია | 3 | 3 | 0 | 0 | 16-2 | 9 |
| ბათუმი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-2 | 9 |
| კოლხეთი 1913 | 4 | 3 | 0 | 1 | 10-5 | 9 |
| სამტრედია | 4 | 2 | 1 | 1 | 11-6 | 7 |
| ტორპედო | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| სამგურალი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| მზიური | 4 | 1 | 0 | 3 | 3-13 | 3 |
| შუქურა | 3 | 0 | 1 | 2 | 4-7 | 1 |
| ამირანი | 3 | 0 | 1 | 2 | 6-10 | 1 |
| ოდიში | 3 | 0 | 1 | 2 | 5-9 | 1 |
| ცხუმი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-13 | 1 |

## სტატისტიკა. IV ტური

| | ალმ. | დას. | სულ | სეზონში |
|---|---|---|---|---|
| მატჩი | 3 | 3 | 6 | 35 |
| გოლი | 14 | 7 | 21 | 130 |
| საშუალო შედეგიანობა | 4,67 | 2,33 | 3,50 | 3,71 |
| მასპინძლები — სტუმრები: | | | | |
| ქულები | 9-0 | 9-0 | 18-0 | 77-23 |
| პროცენტულად | 100-0 | 100-0 | 100-0 | 77-23 |
| ბურთები | 11-3 | 5-2 | 16-5 | 90-40 |
| პროცენტულად | 79-21 | 71-29 | 76-24 | 69-31 |
| გაძევება | — | — | — | 1-4 |
| გაფრთხილება | 0-1 | 3-3 | 3-4 | 24-24 |
| პენალტი | 2-1 | 1-0 | 3-1 | 10-7 |
| გამოყენებულია | 2-0 | 1-0 | 3-0 | 10-4 |
| დიდი ანგარიში | 1 | — | 1 | 12 |
| „ჰეთ-თრიქი“ | 1 | — | 1 | 4 |
| ფეხბურთელთა რაოდენობა | 76 | 75 | 151 | 320 |
| დებიუტანტები | 1 | 2 | 3 | 64 |

მეასე მატჩი ითამაშეს პირველ ჯგუფში: ნიკა ჩხეიძემ („დინამო“), გია გიორგაძემ („მარგვეთი“), ზურაბ იონანიძემ („სამტრედია“).
მეორე გაფრთხილება მიიღო სამხარაძემ („ივერია“).
პენალტი ვერ გამოიყენა უკლებამ („საპოვნელა“), ეს უკვე მესამე გამოუყენებული თერთმეტმეტრიანია (ყველა სტუმრების მიერ).
სამივე მატჩი დიდი ანგარიშით მოიგო თბილისის „დინამომ“.
ჰეთ-თრიქის ავტორია დინამოელი შ.არველაძე. 2-2 გოლი გაიტანეს ქინქლაძემ („დინამო“), მეგრელაძემ („მარგვეთი“), ვ.ფესტვენიძემ („სამგურალი“).
მესამე ტურში ბათუმელთა მიერ ოჩამჩირის „ამირანის“ კარგი გატანილი მესამე გოლი (მაჭუტაძე) — მეორასეა ეროვნულ ჩემპიონატებში.
ბომბარდირთა შორის დაწინაურდნენ: კორღალიძე — 6, გოგოლაძე (ორივე „გურია“), გოგიჩაიშვილი („შევარდენი 1906“), შ.არველაძე, ქინქლაძე (ორივე „დინამო“), ჯანაშია („სამტრედია“) — 4-4 გოლი.

რევაზ შენგელია

## მეორე ჯგუფი

# ანცი — მეორე ჯგუფის „დინამო“

თბილისი, ავლაბრის სტადიონი. 24 VIII

**ანცი — მერანი 91 6:0**

ანცი: სიდამონიძე (მეცხვარიშვილი, 79), პაპიძე, ყორყიკაშვილი (თავართქილაძე, 46), ხვადაგიანი, კაბისაშვილი, უგრელიძე, კერძევაძე, ელოშვილი, კენჭიაშვილი, მაღრაძე, დუმბაძე.
მერანი 91: დავითაშვილი, გოდერძიშვილი, ჯიშკარიანი, ნადირაშვილი, ზ.ფილია (მ. ფილია, 46), მურმანიშვილი, რეშეტოვი, ივანიშვილი (დაბრუნდაშვილი, 46), ძაგანია, ა. ჭანტურია, გ. ჭანტურია.

1:0 დუმბაძე (4), 2:0 ხვადაგიანი (10), 3:0 დუმბაძე (35), 4:0 კერძევაძე (38), 5:0 მაღრაძე (43), 6:0 დუმბაძე (75)

მსაჯი: ტ. ნიშნიანიძე (თბილისი)

ანგარიში თამაშის დასაწყისშივე გაიხსნა. დუმბაძემ მკერდზე მიიღო პარტნიორის პასი, შემოტრიალდა, პაერშივე დაარტყა და ცხრიანში გაახვია. ხუთიოდ წუთში მცველმა ხვადაგიანმა საჯარიმოს გარედან ძლიერი დარტყმით მეორე გოლი გაიტანა. ტაიმის ბოლოს კი ანცელებმა ოთხჯერ მოახვედრეს ბურთი ძელს და სამი გოლი გაიტანეს. ჯერ დუმბაძემ ყორყიკაშვილის პასით მესამე გოლი გაიტანა თავით, შემდეგ კი კერძევაძემ და მაღრაძემ გოლებით დაამთავრეს „ანცის“ შეტევები. მეორე ტაიმში თამაშს აზრი დაეკარგა და „ანცი“ შეტევებს გოლით კი აღარ აგვირგვინებდა, არამედ რაღაც „ახალს იგონებდა“ ბოლო ფაზაში. საბოლოოდ „ანცმა“ ათიოდ საგოლე მომენტიდან ერთი გამოიყენა და ავლაბრის სტადიონი ამაყად თავაწეულმა დატოვა.

„ანცმა“ ეს თამაში მაინც ითამაშა, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი შემადგენლობის ოთხი ფეხბურთელი (ასპინძელაშვილი, პავლიაშვილი, მარგიანი და მაისურაძე) ესპანეთში იმყოფება ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში. გუნდს ძალიან გამოადგნენ უგრელიძე და კერძევაძე, რომლებსაც უმაღლესი ჯგუფის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ. კვლავინდებურად ბატონობს მეორე სართულზე დუმბაძე, დიდ სამუშაოს ასრულებენ ყოფილი მრეტები — ყორყიკაშვილი და განსაკუთრებით პაპიძე, რომელმაც ამ დღეს ყველა ორთაბრძოლა მოიგო.

მატჩის შემდეგ გავესაუბრე კლუბის ვიცე-პრეზიდენტს ზურაბ კიკალიშვილს.

— ჩვენი მიზანი მაღალ ჯგუფში გადასვლა არ არის. ჩვენ ძლიერი გუნდის დაყენება გვინდა და ამიტომ „იძულებულნი“ ვართ ჯგუფში პირველი ადგილი დავიკავოთ. რაც შეეხება გუნდების დაუმსახურებლად დაშვებას ჩვენს ჯგუფში, თუ ფედერაცია ასე თვლის საჭიროდ, დე, ასე იყოს!

**— ჩამოვა თუ არა მაჟეიკისი წელსაც?**

— ჩვენ გვაქვს მასთან მოლაპარაკება და თუ გერმანიაში არ წავიდა, შევეცდებით ისევ ჩამოვიყვანოთ.

მამუკა კვანტალიანი

### I ტური, 24 აგვისტო

**ალმოსავლეთი**

სიონი — რკონი 5:0
ჯ. ჯაგიდისი (15), ა. გაბრიჭიძე (35), ბ. უგულავა (56), ი. მეფარიშვილი (80), კ. ქობულაძე (85)
არმაზი — მესხეთი 2:2
ზ. ხამხაძე (27 პ), მ. ხუცურაული (88), დ. გუბელაძე (10), კ. მარტიაშვილი (22)
ეკობელა — ნაფარეული 1:3
თ. სირაძე (50 პ); კ. კახოიძე (10, 15), პ. მანჭარაული (75)
დურუჯი — შირაქი 3:0
გ. ლვინიაშვილი (10), გ. ბანაშვილი (35), გ. ხუბეჯიშვილი (60)
ბახტრიონი — თეთრი არწივი 0:2
ხ. შუბითიძე (56), გ. ცაავა (76)
ქართლი — ჭაბუკიანი 1:2
მ. თედეევი (15); გ. ომანიშვილი (61 პ), მ.გაფრინდაშვილი (83)
არაგვი — თორი 1:1
რ. ბუტიკაშვილი (20); კ. ბერიძე (72)

**დასავლეთი**

იმერეთი — ულუმბო 5:0
დ. ჭელიძე (42, 86), ნ. მოსეშვილი (34, 73), გ. ხაზარაძე (73)
გურია 2 — ჩიხურა
ჩიხურა არ გამოცხადდა
ეგრისი — შევარდენი 6:3
ბაჯალაძე (35), ნოდია, ი.სიჭინავა, თ. ჭიჭინაძე, მ. ქობალია (16, 30); დ. იზორია (40), ბ. ცირდავა (69 პ), გ. ჯურხანძე (85)
მეშახტე — ბახმარო 3:1
მერცხალი — კახაბერი 2:1
სულორი — უძიმერიონი 1:2



# ცაავა და კეტაშვილი



# „თეთრ არწივში“

გრიგოლ ცაავამ, რომელიც აფხაზეთის ომის დაწყების დღიდან მშობლიურ სოხუმში იბრძოდა, ბოლოსდაბოლოს იარაღს თავი მიანება და ფეხბურთს დაუბრუნდა, მაგრამ არა „ცხუმში“, სადაც იგი ომამდე თამაშობდა, არამედ თავისი თანამებრძოლების გუნდში, რომელიც ახლა საქართველოს ჩემპიონატის მეორე ჯგუფში გამოდის და „თეთრ არწივად“ იწოდება (ყოფილი ა.ს.კ.). პირველ ტურში ცაავამ არმიულ ფეხბურთში მისვლა გოლით აღნიშნა. ამავე გუნდში ითამაშებს თბილისის „დინამოს“ ყოფილი მცველი გელა კეტაშვილი.

# მსოფლიოს ჩემპიონატი

ოთხშაბათს ევროპაში ორი შესარჩევი მატჩი გაიმართა

## III ჯგუფი
### დანია — ლიტვა 4:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 9 | 6 | 3 | 0 | 14-2 | 15 |
| დანია | 9 | 5 | 4 | 0 | 13-1 | 14 |
| ესპანეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 18-2 | 13 |
| ჩრდ. ირლანდია | 9 | 4 | 2 | 3 | 11-10 | 10 |
| ლიტვა | 11 | 2 | 3 | 6 | 8-19 | 7 |
| ლატვია | 11 | 0 | 5 | 6 | 4-19 | 5 |
| ალბანეთი | 10 | 1 | 2 | 7 | 5-20 | 4 |

უახლოესი მატჩები. 8 სექტემბერი: ალბანეთი — დანია, ირლანდია — ლიტვა, ჩრდ. ირლანდია — ლატვია

## VI ჯგუფი
### ავსტრია — ფინეთი 3:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 14-4 | 11 |
| საფრანგეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 12-5 | 11 |
| ბულგარეთი | 7 | 4 | 1 | 2 | 12-7 | 9 |
| ავსტრია | 7 | 3 | 0 | 4 | 12-10 | 6 |
| ფინეთი | 7 | 1 | 1 | 5 | 4-12 | 3 |
| ისრაელი | 7 | 0 | 2 | 5 | 5-21 | 2 |

უახლოესი მატჩები. 8 სექტემბერი: ფინეთი — საფრანგეთი, ბულგარეთი — შვედეთი.

## ფეხბურთის რუკასთან

**საბერძნეთის** პოლიციამ მორიგი „წამლის ბარიგები“ ჩაიგდო ხელში. 40 გრამი ჰაშიში აღმოაჩინეს „მერსედესში“, რომელიც პირველი ლიგის კლუბ „პანახაიკის“ ნიგერიელ თავდამსხმელს, 27 წლის ამეკი ოდიზის ეკუთვნის. მასთან ერთად მანქანაში იყო კიდევ ორი აფრიკელი — ერთი ოდიზის თანამემამულე და ერთიც სომალელი. დაკავებულებმა ერთხმად განაცხადეს, რომ წარმოდგენაც არა აქვთ, თუ საიდან გაჩნდა მათ მანქანაში ნარკოტიკი. საკვირველი იქნებოდა, მათ რომ სხვა რამ ეთქვათ. ისე კი, საბერძნეთში ძალიან მკაცრად სჯიან ნარკოტიკების გამავრცელებლებს. ამასობაში „პანახაიკიმ“ შინ წააგო ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩი „არისთან“ 0:2. ტურში სულ ოთხი მატჩი ჩატარდა. ცენტრალური შეხვედრა „ოლიმპიაკოსსა“ და „პანათინაიკოსს“ შორის 0:0 დამთავრდა. დანარჩენი მატჩები გადაიდო, ვინაიდან ბერძენი მსაჯები გაფიცულან. ისინი გაბრაზებულები ყოფილან ფეხბურთის ფედერაციის იმ გადაწყვეტილებაზე, რომლითაც მსაჯთა ასოციაცია ფედერაციის შემადგენლობაში შევიდა.

**გერმანიის** თასის მორიგ ეტაპზე რის ვაი-ვაგლახით გავიდა ჩემპიონი „ვერდერი“. ძირითადი დრო „შტუტგარტერ კიკერსთან“ ფრედ 1:1 დამთავრდა. მხოლოდ დამატებით დროში შტუტგარტელების თავის კარში გატანილმა გოლმა მისცა საშუალება „ვერდერს“ თასისთვის ბრძოლა გაეგრძელებინა. ზოგიერთი სხვა მატჩის შედეგები: „ბაიერი“ ლევერკუზენი — „ნიურნბერგი“ 3:0, „ფორტუნა“ დიუსელდორფი — „აინტრახტი“ 0:2, „კარლ ცაისი“ — „ბაიერნი“ მიუნხენი 0:2.

**შოტლანდიის** ლიგის თასის მერვედფინალში გათამაშებიდან „პრემიერ დივიზიონის“ ორი კლუბი გამოვარდა: „ჰართსმა“ ბოლო წუთზე გაუშვა გადამწყვეტი გოლი „ფალკირკთან“ — 0:1, „სენტ ჯონსტონმა“ კი „ეიდრისთან“ წააგო 0:2. სამაგიეროდ, უძლიერესთა ძალა დაამტკიცა „სელტიკმა“, რომელმაც სტუმრად „არბროუზს“ მოუგო 9:1. სამ-სამი გოლი მაკავენიმ და პეიტონმა გაიტანეს. მეოთხედფინალური შეხვედრებიდან საინტერესოა „აბერდინ“ — „გლაზგო რეინჯერსის“ წყვილი.

**აშშ-ში** ერთი კვირით გამგზავრებას აპირებს დიეგო მარადონა, რათა უკეთ მოემზადოს „დიდ ფეხბურთში დასაბრუნებლად“. ვინ მოთვლის, ეს უკვე მერამდენე დაბრუნებაა 32 წლის ფეხბურთელისთვის. გასული კვირა მარადონამ ურუგვაიში გაატარა, სადაც გახდომას ლამობდა და დიეტაზე იჯდა. 11 კილოგრამით დაკლებულმა მარადონამ განაცხადა, რომ ჯერ არცერთ კლუბთან არ მოუწერია ხელი, თუმცა ვარაუდობს, რომ ეს მხოლოდ ორ არგენტინულ კლუბთან შეიძლება მოხერხდეს: „სან ლორენცოსთან“ ან „არგენტინოს ხუნიორსთან“.

**ჰოლანდიის** ჩემპიონატში წარმატებით თამაშობს „აიაქსი“, რომელმაც ფრანკ რაიკაარდი დაიბრუნა. მეექვსე ტურიდან გადმოტანილ მატჩში „აიაქსმა“ სტუმრად მოუგო „უტრეხტს“ 4:1. ორ-ორი გოლი ფინელმა იარი ლიტმანენმა და რაიკაარდმა გაიტანეს. მესამე ტურში ამსტერდამელებმა 12 წუთში სამი გოლი გაუტანეს როტერდამის „სპარტას“ — 3:0 და ახლა პირველ ადგილზე არიან. მხოლოდ ბურთების უარესი სხვაობით ჩამორჩება ლიდერს „როდა“, რომელმაც ბოლო ტურში გასვლაზე „გრონინგენს“ სძლია 5:3. მესამე ადგილზეა პ.ს.ვ. რომელმაც შინ ვერაფერი დააკლო „ჰერენვეენს“ — 0:0. ჩემპიონი „ფეიენოორდი“ მეხუთე ადგილზეა. მან შინ 1:0 მოუგო „ტვენტეს“.



ფრანკ რაიკაარდი კვლავ „აიაქსის“ ფორმითაა

**ესპანეთის** ჩემპიონატი სექტემბრის პირველ კვირას იწყება, მანამდე კი გუნდები ამხანაგურ მატჩებს ატარებენ. ჩემპიონმა „ბარსელონამ“ ოთხთა ტურნირის ფინალი დათმო „ტენერიფესთან“ 1:3. მესამე ადგილისთვის „ბორდომ“ 2:0 მოუგო სპლიტის „ჰაიდუკს“. მადრიდის „რეალი“ კი ურუგვაიში იმყოფება. გუშინწინ „რეალმა“ 2:2 ითამაშა მონტევიდეოს „ნასიონალთან“.

## ინგლისი

მეოთხე ტური ორშაბათს გაიხსნა ბირმინგემში „ასტონ ვილასა“ და ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მატჩით. შეხვედრის წინ სტუმრების მწვრთნელი მარჩიელობდა, თუ ვინ დაეყენებინა დისკვალიფიცირებული ბრაიან რობსონის ნაცვლად — ლი შარპი თუ ბრაინ მაკკლეირი. ბოლო მომენტში ლი შარპი აირჩიეს და მანაც არ გაუმტყუნა — ორი გოლი გაიტანა და სამი ქულა მოუტანა გუნდს. მე-17 წუთზე შარპმა გახსნა ანგარიში, ტაიმის ბოლოს მასპინძლებმა გაათანაბრეს (დანიელ ატკინსონი). მეორე ტაიმში „ასტონ ვილას“ სამი ნაღდი მომენტი ჰქონდა, მაგრამ არ გაუმართლა: ჯერ შმაიხელმა აიღო სონდერსის დარტყმული მკვდარი ბურთი, შემდეგ რიჩარდსონმა ძელს გაარტყა, ბოლოს კი ატკინსონმა ცუდად დაარტყა კარგი პოზიციიდან. ჩემპიონმა, თავის მხრივ, საგოლე მომენტების მაქსიმუმი გამოიყენა — ერთიდან ერთი: ტრავმირებულმა გიგზმა რამდენიმე მცველი მოატყუა და შარპს გადამწყვეტი გოლი გაატანინა.

სამშაბათს კიდევ ოთხი მატჩი შედგა. საინტერესო იყო 1991 და 1992 წლების ჩემპიონების „არსენალისა“ და „ლიდს იუნაიტედის“ შეხვედრა. ლონდონელმა პოლ მერსონმა უკვე 56-ე წამზე წინ გაიყვანა მასპინძლები. მეორე ტაიმში იმავე მერსონის ჩაწოდების შემდეგ გოლი თავის კარში გაიტანა ჯონ ნიუსამმა, რომელიც ტრავმირებულ დევიდ ო'ლირის ცვლიდა. მატჩის ბოლოს „ლიდსის“ კაპიტანმა, 36 წლის გორდონ სტრაჩანმა შეამცირა ანგარიშის სხვაობა, მაგრამ მეტის გაკეთება ლიდსმა“ ვერ შეძლო, თუმცა არც არავინ ელოდა ამას — მას ხომ 17 თვეა სტუმრად არ მოუგია. „მანჩესტერ სიტიმ“ მორიგი მარცხი განიცადა შინ „ბლეკბერნ როვერსთან“ 0:2 (მაიკ ნიუელი, კევინ გალაჰერი). ეს ვეღარ აიტანეს გუნდის გულშემატკივრებმა და მატჩის შემდეგ მიტინგიც გამართეს, თუმცა, ჩვენი მონაცემებით, ჯერ საქმე კარვებამდე არ მისულა. გუშინ დილით „სიტის“ მწვრთნელი მოხსნეს. „შეფილდ იუნაიტედმა“ მოუგო „უიმბლდონს“ 2:1, „ოლდჰემისა“ და „კოვენტრი სიტის“ მატჩი 3:3 დამთავრდა.

„შავი დღე ლიდერებისთვის“ — ასე შეიძლება ეწოდოს ოთხშაბათს. გუშინწინ მიმდინარე ჩემპიონატის სამივე ლიდერმა წააგო, მათ შორის „ლივერპულმა“ შინ, „ენფილდ როუდზე“ „ტოტენჰემთან“ 1:2. სტუმრებმა შესანიშნავად ითამაშეს დაცვაში, რომლის გარღვევაც მხოლოდ ერთხელ, მე-15 წუთზე მოახერხა ნაიჯელ კლაფმა მაკმანამანის პასით. 30-ე წუთზე ტედი შერინგემმა ჯერ პენალტით, ხოლო 50-ზე უკვე თამაშიდან გაამარჯვებინა „ტოტენჰემს“, რომელმაც თავის ისტორიაში მხოლოდ მესამედ მოიგო „ენფილდ როუდზე“. მშვენივრად ითამაშა „მამლების“ ნორვეგიელმა მეკარე ტორსტვედტმა. დანარჩენი ორი ლიდერი სტუმრად ერთნაირი ანგარიშით 0:1 დამარცხდა — „ევერტონი“ „ნიუკასლთან“, „იფსვიჩ თაუნი“ კი „ნორვიჩ სიტისთან“. კვლავ წააგო აუტსაიდერმა „სვინდონმა“, ამჯერად გასვლაზე „საუთჰემპტონთან“ 1:5. „ჩელსიმ“ მოუგო „ქუინზ პარკ რეინჯერსს“ 2:0, ასევე 2:0 გაიმარჯვა „ვესტ ჰემმა“ „შეფილდ უენსდეისთან“.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩეს. იუნ (1) | 4 | 3 | 1 | 0 | 8-2 | 10 |
| ლივერპული (6) | 4 | 3 | 0 | 1 | 11-3 | 9 |
| ნორვიჩი (3) | 4 | 3 | 0 | 1 | 8-4 | 9 |
| ევერტონი (13) | 4 | 3 | 0 | 1 | 7-3 | 9 |
| იფსვიჩი (16) | 4 | 3 | 0 | 1 | 5-1 | 9 |
| ბლეკბერნი (4) | 4 | 3 | 0 | 1 | 7-4 | 9 |
| ტოტენჰემი (8) | 4 | 3 | 0 | 1 | 4-2 | 9 |
| არსენალი (10) | 4 | 3 | 0 | 1 | 4-4 | 9 |
| კოვენტრი (15) | 4 | 2 | 2 | 0 | 9-5 | 8 |
| შეფ. იუნაიტ (14) | 4 | 2 | 0 | 2 | 7-9 | 6 |
| ასტონ ვილა (2) | 4 | 1 | 2 | 1 | 7-5 | 5 |
| უიმბლდონი (12) | 4 | 1 | 2 | 1 | 6-5 | 5 |
| ჩელსი (11) | 4 | 1 | 1 | 2 | 4-4 | 4 |
| ვესტ ჰემი (დ) | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| ნიუკასლი (დ) | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| ოლდჰემი (19) | 4 | 1 | 1 | 2 | 4-7 | 4 |
| ლიდსი (17) | 4 | 1 | 1 | 2 | 3-7 | 4 |
| საუთჰემპტ. (18) | 4 | 1 | 0 | 3 | 6-6 | 3 |
| ქუინზ პარკი (5) | 4 | 1 | 0 | 3 | 4-10 | 3 |
| მანჩ. სიტი (9) | 4 | 0 | 1 | 3 | 1-5 | 1 |
| შეფ. უენ (7) | 4 | 0 | 1 | 3 | 0-5 | 1 |
| სვინდონი (დ) | 4 | 0 | 0 | 4 | 2-14 | 0 |

## იტალია

29 აგვისტოს იწყება იტალიის მორიგი ჩემპიონატი. პირველ ტურში ერთმანეთს ხვდებიან: „ლეჩე“ — „მილანი“, „უდინეზე“ — „პარმა“, „ინტერი“ — „რეჯანა“, „პიაჩენცა“ — „ტორინო“, „ატალანტა“ — „კალიარი“, „იუვენტუსი“ — „კრემონეზე“, „ლაციო“ — „ფოჯა“, „ნაპოლი“ — „სამპდორია“, „ჯენოა“ — „რომა“.

გასული ორი სეზონის ჩემპიონის „მილანის“ ფეხბურთელებმა წელს, წესით, 40 პროცენტით სუსტად უნდა ითამაშონ, ვიდრე შარშან, თუ რა თქმა უნდა, პრემიის თანხა და ფეხბურთის თამაში ერთმანეთის პროპორციულია. ეტყობა, ყოვლისშემძლე ბერლუსკონისაც გაუჭირდა, თუ იგი ყოველ მოთამაშეს „სერია A“-ში გამარჯვებისთვის მხოლოდ 190000 დოლარს პირდება ნაცვლად შარშანდელი 300 ათასისა. რაც შეეხება ევროპის საუკეთესო ბომბარდირს ვან ბასტენს, ოთხშაბათს მისმა მკურნალმა ექიმმა კმაყოფილება გამოთქვა გამოჯანმრთელების პროცესით და იმედი გამოთქვა, რომ ნოემბერში მისი პაციენტი ჩვეულ ფორმაში ჩადგება.

### ბოლო 10 წლის ჩემპიონები და ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 1983 | „რომა“ | პლატინი (იუვენტუსი) — 16 |
| 1984 | „იუვენტუსი“ | პლატინი (იუვენტუსი) — 20 |
| 1985 | „ვერონა“ | პლატინი (იუვენტუსი) — 18 |
| 1986 | „იუვენტუსი“ | პრუცო (რომა) — 19 |
| 1987 | „ნაპოლი“ | ვირდისი (მილანი) — 17 |
| 1988 | „მილანი“ | მარადონა (ნაპოლი) — 15 |
| 1989 | „ინტერი“ | სერენა (ინტერი) — 22 |
| 1990 | „ნაპოლი“ | ვან ბასტენი (მილანი) — 19 |
| 1991 | „სამპდორია“ | ვიალი (სამპდორია) — 19 |
| 1992 | „მილანი“ | ვან ბასტენი (მილანი) — 25 |
| 1993 | „მილანი“ | სინიორი (ლაციო) — 26 |

## პორტუგალია

პირველი ტური. „პორტუ“ — „ბენფიკა“ 3:3, „ბოავიშტა“ — „მარიტიმუ“ 3:2 (ჰეთ-ტრიქი გააკეთა მარლონ ბრანდაუმ), „ჟილ ვისენტე“ — „ბრაგა“ 1:1, „გიმარაეში“ — „ფამილიკაუ“ 3:0, „სპორტინგი“ — „სალგეირუში“ 2:1, „ეშტორილი“ — „ბეირა მარი“ 1:0, „ამადორა“ — „სეტუბალი“ 0:0, „მადეირა“ — „პასუშ ფერეირა“ 2:0, „ფარენსე“ — „ბელენენსეში“ 1:0

## გერმანია

გასულ უქმეებზე შედგა მესამე ტურის მატჩები. „ვერდერ“ — „ლაიპციგის“ მატჩზე (3:1) ჩვენ უკვე ვწერდით. შაბათს „აინტრახტმა“ ფრანკფურტში მოუგო „კაიზერსლაუტერნს“ 1:0 (იებოა) და ახლა „ვერდერთან“ ერთად ლიდერობს. „დუისბურგი“ 2:0 უგებდა „შტუტგარტს“ უვე ვაიდემანის და „გრასჰოპერსიდან“ წელს გადმოსული პეტერ კოზლეს გოლებით, მაგრამ მატჩი საბოლოოდ 2:2 დამთავრდა თომას შტრუნცის და ისლანდიელი სვერისონის წყალობით. „ჰამბურგმა“ შინ გაანადგურა „შალკე 04“ 4:1, მიუნხენის „ბაიერნმა“ კი დრეზდენის „დინამო“ 5:0 (ორი გოლი შოლმა გაიტანა). „კიოლნმა“ ორი პოლონელის — ანჟეი რუდისა და ანჟეი კობილანსკის ორი გოლით მოუგო „კარლსრუეს“ 2:1. ლევერკუზენის „ბაიერმა“ გასვლით მატჩში სძლია „ვატენშაიდს“ 2:1. დებიუტანტ „ფრაიბურგის“ ფეხბურთელებმა გააოცეს დორტმუნდელი მაყურებლები, როცა მათ საყვარელ „ბორუსიას“ ორი გოლი გაუტანეს (არგენტინელი როდოლფო ესტებან კარდოსო და მაქს ჰაიდენრაიხი), მაგრამ ოსური „სპარტაკის“ მომავალი მეტოქე მალე აზრზე მოვიდა და სამი გოლიც გაიტანა (რიდლე, ცორკი, ზამერი) — 3:2. პირველი გამარჯვება მოიპოვა მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“, რომელმაც „ნიურნბერგი“ დაამარცხა 2:0 იორგ ნოიბის და ჰოლგერ ფახის გოლებით.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერდერი (1) | 3 | 2 | 1 | 0 | 10-4 | 5 |
| აინტრახტი (3) | 3 | 2 | 1 | 0 | 7-2 | 5 |
| ლევერკუზ. (5) | 3 | 2 | 1 | 0 | 6-4 | 5 |
| ბაიერნი (2) | 3 | 2 | 0 | 1 | 10-4 | 4 |
| ჰამბურგი (11) | 3 | 2 | 0 | 1 | 9-5 | 4 |
| კაიზერსლ. (8) | 3 | 2 | 0 | 1 | 6-3 | 4 |
| დორტმუნდი (4) | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 4 |
| დუისბურგი (დ) | 3 | 1 | 2 | 0 | 5-4 | 4 |
| ფრაიბურგი (დ) | 3 | 1 | 0 | 2 | 7-7 | 2 |
| კარლსრუე (6) | 3 | 1 | 0 | 2 | 4-4 | 2 |
| ვატენშაიდი (14) | 3 | 1 | 0 | 2 | 5-6 | 2 |
| კიოლნი (12) | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 2 |
| მიონხენგლ. (9) | 3 | 1 | 0 | 2 | 4-8 | 2 |
| ნიურნბერგი (13) | 3 | 1 | 0 | 2 | 3-7 | 2 |
| შალკე (10) | 3 | 1 | 0 | 2 | 2-7 | 2 |
| ლაიპციგი (დ) | 2 | 0 | 1 | 1 | 4-6 | 1 |
| შტუტგარტი (7) | 2 | 0 | 1 | 1 | 3-7 | 1 |
| დინამო (15) | 3 | 0 | 1 | 2 | 3-9 | 1 |

## საფრანგეთი

გთავაზობთ მეხუთე ტურის შედეგებს, რომლებიც წინა კვირას ვერ გაცნობეთ: „სტრასბური“ — „კანი“ 2:2, „მონპელიე“ — „მონაკო“ 0:3, „ბორდო“ — „ნანტი“ 2:0, „მარსელი“ — „პარი სენ-ჟერმენი“ 1:0, „ლილი“ — „ლე ავრი“ 2:2, „კაენი“ — „ლანი“ 1:0, „სოშო“ — „ლიონი“ 0:1, „ანჟერი“ — „მარტიგი“ 1:3, „მეცი“ — „ოსერი“ 0:0, „სენტ ეტიენი“ — „ტულუზა“ 2:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| კანი (დ) | 5 | 3 | 2 | 0 | 8-5 | 8 |
| ბორდო (4) | 5 | 3 | 1 | 1 | 8-3 | 7 |
| ლიონი (14) | 5 | 3 | 1 | 1 | 7-4 | 7 |
| ნანტი (5) | 5 | 3 | 1 | 1 | 5-2 | 7 |
| მონაკო (3) | 5 | 3 | 0 | 2 | 9-5 | 6 |
| მარტიგი (დ) | 5 | 2 | 2 | 1 | 9-5 | 6 |
| მარსელი (1) | 5 | 2 | 2 | 1 | 4-3 | 6 |
| სოშო (16) | 5 | 2 | 1 | 2 | 7-5 | 5 |
| ოსერი (6) | 5 | 1 | 3 | 1 | 4-3 | 5 |
| პსჟ (2) | 5 | 2 | 1 | 2 | 5-5 | 5 |
| სტრასბური (8) | 5 | 0 | 5 | 0 | 5-5 | 5 |
| კაენი (11) | 5 | 2 | 1 | 2 | 4-7 | 5 |
| სენტ-ეტიენი (7) | 5 | 1 | 2 | 2 | 5-5 | 4 |
| მეცი (12) | 5 | 1 | 2 | 2 | 4-5 | 4 |
| ლანი (9) | 5 | 1 | 2 | 2 | 2-3 | 4 |
| ლე ავრი (15) | 5 | 0 | 4 | 1 | 3-6 | 4 |
| ლილი (17) | 5 | 0 | 3 | 2 | 5-7 | 3 |
| ანჟერი (დ) | 5 | 1 | 1 | 3 | 5-10 | 3 |
| მონპელიე (10) | 5 | 1 | 1 | 3 | 4-9 | 3 |
| ტულუზა (13) | 5 | 0 | 3 | 2 | 2-8 | 3 |

# ჯვარცმული ჩემპიონატი

ქვეყნის წინა, XXV პირველობა 1992 წლის ივლისში დასრულდა. შეიცვალა ჩემპიონი — იმერის „აიას" ამერის „ვესტა" მოერია. მერე საქართველოს ნაკრებმა კიევში უკრაინისა და ლატვიის ნაკრებები დაამარცხა.

შემდეგი, XXVI ჩემპიონატი სექტემბრის მესამე დეკადაში დაიწყო. მანამდე ჩვენმა საშვიდკაცო ნაკრებმა მოსკოვში, „ფილიზე" წააგო ლატვიასა და რუსეთთან და მსოფლიო თასს მილმა დარჩა. ასე იწვნია ჩვენმა რაგბმა პირველი დარტყმა.

დაიწყო ჩემპიონატი და სხვა გასაჭირმაც იჩინა თავი. უბენზინობამ ამერი და იმერი ერთმანეთს მოსწყვიტა. იმერიდან ოდენ „ერქვანმა" შეძლო ამერს ორჯერ ჩამოსვლა. პირველივე ჩამოსვლისას მოედანზე ლაზათიანი ჩხუბიც გაიმართა. ამავე დღეს კურიოზიც მოხდა: გაგანია თამაშში მოედანზე შეიჭრა შექეიფიანებული მესამე გუნდი, რომლისთვისაც იმერელი მეტოქის უიმედოდ ლოდინს გული გაეწვრილებინა, და მაყურებელთა ორაზროვანი ყიჟინის თანხლებით საჩვენებელი ლელოც გაიტანა.

მერე დატრიალდა გაგრის ტრაგედია. თამაშები შეწყდა. გლოვის ტალღის ჩაცხრომის შემდეგ მიმოსვლა უნდა განახლებულიყო, მაგრამ ამერში რამდენიმე დღე ამაოდ ელოდნენ იმერის გუნდებს. ბოლოს ამერლებმა ერთმანეთთან თამაშიღა დაიწყეს. ჩემპიონატი შეწყდა. შედეგები გაუქმდა

| პირველი ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| შევარდენი | 3 | 3 | 0 | 0 | 72-37 | 6 |
| ვესტა | 2 | 2 | 0 | 0 | 80-19 | 4 |
| ამირანი | 3 | 2 | 0 | 1 | 64-46 | 4 |
| ერქვანი (ქუთაისი) | 2 | 1 | 0 | 1 | 38-22 | 2 |
| ქორები | 2 | 1 | 0 | 1 | 10-25 | 2 |
| ხარები (რუსთავი) | 3 | 1 | 0 | 2 | 38-37 | 2 |
| ყორჩები | 1 | 0 | 0 | 1 | 3-10 | 0 |
| თბილისი | 4 | 0 | 0 | 4 | 43-152 | 0 |
| აია (ქუთაისი) | 0 | - | - | - | — | 0 |
| ჯანი (ჩოხატაური) | 0 | - | - | - | — | 0 |

ზედა, პირველი ჯგუფი სადაურობის მიხედვით ორად გაიყო. ერთი სიტყვით, ოქტომბრის ბოლოსღა განხორციელდა სარაგბო თემის ივლისისეული „მკრეხელური" გადაწყვეტილება, რომელიც აგვისტოში რაგბის კავშირის მაშინდელი თავკაცის ძალისხმევით შეიცვალა.

ნოემბერში ამერ-იმერში ცალ-ცალკე ჩემპიონატები გაჩურდა. თავისი მარიფათის იმედად დარჩენილმა იმერლებმა ივარგეს — თუ არაოფიციალურ წყაროებს ვენდობით, ორი წრე გაუმართავთ. არადა, 17 ნოემბრის შემდეგ გამართული თამაშების შედეგები ამერში დღესაც (!) არავინ უწყის.

ამერში შეჯიბრება თავიდან დიდი ამბით დაიწყეს, მაგრამ მოახლოვდა თუ არა თამაშთა-თამაში („შევარდენი" — „ვესტა"), ვითარება დაიძაბა. თავად შეხვედრას სპორტი პირობითად თუ ეთქმოდა. ჩემპიონმა შეაჯი დაატერორა და მოიგო, მაგრამ ხუთ დღეში ჩემპიონატი ისევ შეწყდა: ამერის თემმა ერთხმად აღიარა, თამაშების გაგრძელება დღევანდელ ვითარებაში შეუძლებელია, ემანდ მოედანზე რაიმე ტრაგედია არ დატრიალდესო. ამ პერიოდსვე დაემთხვა პურის მეორე გაძვირება.

| ამერის I ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვესტა | 4 | 3 | 1 | 0 | 115-41 | 7 |
| ამირანი | 4 | 3 | 1 | 0 | 82-40 | 7 |
| ხარები | 4 | 3 | 0 | 1 | 127-49 | 6 |
| შევარდენი | 3 | 2 | 0 | 1 | 101-56 | 4 |
| ყორჩები | 1 | 0 | 0 | 1 | 10-55 | 0 |
| თბილისი | 4 | 0 | 0 | 4 | 83-152 | 0 |
| ქორები | 4 | 0 | 0 | 4 | 31-146 | 0 |
| **ამერის II ჯგუფი** | | | | | | |
| შევარდენი II | 8 | 8 | 0 | 0 | 235-42 | 16 |
| ლელო | 5 | 4 | 0 | 1 | 162-57 | 8 |
| ივერია | 6 | 4 | 0 | 2 | 164-74 | 8 |
| უნივერსიტეტი | 7 | 2 | 0 | 5 | 36-156 | 4 |
| აკადემია | 7 | 2 | 0 | 5 | 62-212 | 4 |
| რაში | 5 | 1 | 0 | 4 | 34-77 | 2 |
| ხაშური | 4 | 0 | 0 | 4 | 40-112 | 0 |
| **იმერის ჯგუფი** | | | | | | |
| აია | 6 | 6 | 0 | 0 | 314-31 | 12 |
| ერქვანი | 6 | 5 | 0 | 1 | 257-44 | 10 |
| აია II | 5 | 2 | 0 | 3 | 31-151 | 4 |
| იმერეთი (ჭიათურა) | 4 | 1 | 0 | 3 | 28-58 | 2 |
| ჯანი | 4 | 0 | 1 | 3 | 11-187 | 1 |
| აიეტი (ქუთაისი) | 5 | 0 | 1 | 4 | 20-198 | 1 |
| ბუბა (ონი) | 0 | - | - | - | — | 0 |

ვნებები ოდნავ დაცხრა და ამერის თემი ისევ ამოძრავდა: კლუბების ნაცვლად ნაკრებებით თამაში ხომ არ გვეცადაო. შუაგულ დეკემბერში გუნდების ადლვებით შეიკრიბა ოთხი ნაკრები, გაიმართა სამიდან ორი ტურიც, მაგრამ მოთოვა და ეს წამოწყებაც ჩაიშალა.

ამასობაში გაირკვა, რომ დიდი მსოფლიო თასის პირველივე შესარჩევ ეტაპზე საქართველო პოლონეთსა და რუსეთს უნდა შეჯიბრებოდა. ჰოდა, მოეწყო ნაკრების სტუმრობა მოსკოვში, როსტოვსა და ტაშკენტში, მაგრამ ბოლო ექსპედიციის გარდა, ნაკრებმა ყველგან მოისაკლისა მოთამაშეები.

არც კლუბები მსხდარან უქმად. იბჭეს და დაასკვნეს, ნაცად — სამხრეთნახევარსფეროულ-საბჭოთაყოფილ ანუ გაზაფხულ-შემოდგომის განრიგს დაბრუნებოდნენ. ამით პრობლემა შეექმნა ქართული რაგბის მეისტორიეს: ძნელი გადასაწყვეტია, 1992 წლის შემოდგომის მოვლენები ცალკე ჩემპიონატად გამოიყოს თუ არა.

ასე თუ ისე, 17 აპრილს ახალი, XXVII (თუ XXVI?) პირველობა დაიწყო. დაიწყო ამერში. როგორც ვარაუდობენ, იმერში გადარჩენილ ქუთაისის ოთხ გუნდსაც გაუმართავს ორი წრე, რომელთაგან ერთი, იმერელთა თქმით, არაოფიციალური (?) ყოფილა. გინდ ასე იყოს და გინდ ისე, აპრილის იმერული შედეგები რაგბის კავშირის ვაკის ოფისმა ჯერაც (!) არ უწყის.

სამაგიეროდ ცნობილია, რომ იმერში ივნისში კრება უნდა გაემართათ, რომელზეც სამომავლო გეგმებზე უნდა ემსჯელათ. ვაკეში ვარაუდობენ, რომ ამ შემოდგომაზე იმერში ერთი-ორი წრე კიდევ გაიმართება, ოღონდ მათგან რამდენი იქნება ოფიციალური, დანამდვილებით ვერ იციან.

რაც შეეხება ამერის ჩემპიონატს, იგი თითქმის შეუფერხებლად მიმდინარეობდა. თითქმისო იმიტომ, რომ თბილისელთათვის რაღაც ჭირად გუნდები რუსთავსა და ხაშურსაც ჰყავთ. იმერეთთან მიმოსვლა თავიდან რომ აიცილეს, საქმის მხოლოდ ნახევარია — ახლა ეს ორი ქალაქიც უნდა გაირიყოს და მაშინ თბილისელთა ბედს ძაღლი არ დაყეფს.

არა, მთლად ასეც არაა საქმე. ხაშურის გუნდი საშურ სიჯიუტეს ამჟღავნებს და არაერთგზის შეთავაზების მიუხედავად, იმერში არ გადადის. რუსთავის გუნდს თბილისელი ვარსკვლავები და კონსულტანტი ჰყავს და დიდი არაფერი შავდება, თუ ამათთან და მსაჯთან ერთად ხანდისხან მეტოქეც ჩავა რუსთავს.

ამერელი მორაგბეები ერთ დიდ ოჯახად ცხოვრობენ და ერთმანეთის ჭირსა და ლხინსაც იზიარებენ. ამის გამო თუა, რომ ხანდახან თამაშები ისე გადააქვთ, რომ გარეშენი დროულად ვერ შეიტყობენ ხოლმე და მერე პირშიჩალაგამოვლებულნი რჩებიან.

ამას კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ მეგაზეთისათვის ის კი მთლად შეუწყნარებელია, რომ ამერლებს, იმერლებისგან განსხვავებით, არ უყვართ და არც ეხერხებათ საბუთებთან მუშაობა — თამაშის ოქმს იმდენად ზერელედა და უზუსტოდ ავსებენ, რომ ათი რეზო შენგელიაც ვერ გასწვდება რაგბის ჩემპიონატის სტატისტიკის შედგენას.

ამერლებმა წლევანდელ ჩემპიონატს ჯერჯერობით თვენახევარი მოახმარეს: აპრილის მეორე ნახევარსა და ივნისში გამართეს თამაშები. მაისი სტუდენტურ ჩემპიონატს, „ეროვნული ნაკრების" სამზადისსა და მერე მსოფლიო თასზე ჩაფლავებას შეეწირა. ივლისში პირველობა უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ საყოველთაო აზრით, თურმე ისე ჩამომცხარა, რომ კლუბების შეჯიბრების ნაცვლად ისევ სახელდახელოდ შეკრებილი ნაკრებების ტურნირის გამართვა გამხდარა მიზანშეწონილი.

ერთი სიტყვით, პირველობა ისევ გადაიდო. „ვესტა" და „შევარდენი" კი ჯერაც არ შეხვედრიან ერთმანეთს — პაემანისთვის დათქმულ დროს „შევარდენი" ეროვნული ნაკრების კვალად ტაშკენტში ასპარეზობდა.

უთუოდ იკითხავთ, „ნეტავ მაგ ტაშკენტს ეგეთი რა თაფლი სცხია, ეგზომ რომ იზიდავს ქართველ ბიჭებსო?" — აი, აქ კი იმედი უნდა გავუცრუოთ სენსაციას დახარბებულ მკითხველს: ტაშკენტში რუსი სამხედროების კარგი გუნდი ჰყავდათ, რომელიც მალე კალინინგრად-კენიგსბერგში გადაბარგდება, და აქეთ-იქით მგზავრობაცა და კვება-სახლობაც ერთობ იაფი ჯდება. სულ ესაა მიზეზი!

## ბატონი ჯანოს იმედად

დავუბრუნდეთ ჩემპიონატს. ამ გაზაფხულზე ვაკის სტადიონზე მორაგბეთა ლაღობა, როგორც ჩანს, ჭკუაში არ დაუჯდა მავანსა და მავანს. ფედერაციებისთვის ბაზების განაწილების დროს ვაკის სტადიონი რაგბს ერგო, მაგრამ მალე მოცილეებიც გამოჩნდნენ. ერთი მათგანი ფიზკულტურის ინსტიტუტი იყო, რომელსაც საკუთარი არც სტადიონი აკლია და არც სხვა ნაგებობანი.

მეორენი მორაგბეთა ოდინდელი მოშუღარნი — ფეხბურთელები არიან. ბარაქალა რკინიგზელ ფეხბურთის თავკაცთა მონდომებას, ლამის მეათედ რომ აღუდგენიათ საფეხბურთო კლუბი და გუნდი! მაგრამ რაგბის სამყარო იმას კი ვერასგზით შეურიგდება, რომ ძველებურად იითმინოს „უფროსი ძმის" ჭირვეულობა: რკინიგზის ფეხბურთის „მამებმა", ბატონებმა ხაზარაძემ და თავართქილაძემ, ეტყობა, ბებია-ბაბუის სკივრიდან ამოამზეურეს ფეხბურთელთა უმთავრესი ანტისარაგბო არგუმენტი — „რაგბი მოედანს გვიფუჭებს, ამიტომ ვაკის სტადიონზე რაგბის თამაში თუ მთლად არ უნდა აიკრძალოს, შესამჩნევად უნდა შემცირდესო!"

ბატონებო! ჯერ ერთი, როგორც რაგბი გიფუჭებთ მოედანს, თქვენებიც ისევე უფუჭებენ. მეორეც, მორაგბეები ვაკიდან ვერსად წავლენ, ვინაიდან დედაქალაქის უკლებლივ ყველა სხვა სტადიონი ფეხბურთელთა განკარგულებაშია. მესამეც, ორი გუნდი — მეორე ჯგუფის „მერანი-ბაჩო" და მესამე ჯგუფის „პონი" ვაკის სტადიონს ვერ მოუტანენ იმდენ შემოსავალს, რამდენიც 12 რაგბის გუნდს მოაქვს. და მეოთხეც: ერთხელ და სამუდამოდ უნდა თქვათ ფეხბურთელებმა უარი უსაფუძვლო მტკიცებაზე, აქაო და რაგბი მოედნებს აპარტახებსო, და აი, რატომ:

მოედნის გაფუჭების გასაზომად მივმართოთ სადა არითმეტიკას. ცოტა უკაცრავად კი ვიქნები, საამისოდ ნეტარხსენებულ კოლმეურნეობებს დავესესხები ცნებებს და „კაც-დღის" ანალოგიით „კაც-წუთს" შემოვიტან.

მოკლედ თუ მოვჭრით, 22 ფეხბურთელი 90 წუთის განმავლობაში თელავს მოედანს, ე.ი. მოედნის გაფუჭება 22X90 1980 კაც-წუთს უდრის. რაგბისთვის იგივე მაჩვენებელი 30X80 2400 კაც-წუთია, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ სხვა მოსაზრებებს უგულებელვყოფთ, გამოგვივა, რომ რაგბის 5 მატჩი მოედანს თითქმის იმდენად აფუჭებს, რამდენადაც ფეხბურთის 6 თამაში.

გასათვალისწინებელია სხვა ასპექტებიც. ფეხბურთი კარისკენ მიმართული თამაშია, რის გამოც ფლანგებზე და საჯარიმოებში სიხალვათეა. ეს იწვევს იმას, რომ ერთობ ითელება შუამინდორი და მეკარის ბაქნები. რაგბი ფრონტალური თამაშია, რის გამოც დატვირთვა მთელი მოედნის ფარგლებში თანაბრად ნაწილდება მის მთელს სიგანეზე, ერთბაშად ასე 40-50 მეტრის სიგრძის ზოლში. ახლა თავად განსაჯეთ, თუ როდის უფრო დაზიანდება მოედანი.

ერთი სიტყვით, თუ რკინიგზელი ფეხბურთელები მაინც თავისას გაიტანენ, აქამდე სიმწრით მოღწეული საქართველოს მორიგი პირველობა საბოლოოდ ჩაიშლება და საშინაო სეზონის დღევანდელი პრეზენტაციაც აზრს დაკარგავს, რისთვისაც მკითხველს გულწრფელად უნდა მოვუბოდიშოთ. მაგრამ თუ სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, მოშუღართა ცნობილი მომრიგებელი ჯანო ბაგრატიონი საერთო ენას გამონახავს რკინიგზის მთლად უფროსთან, ბატონ ვაშაკიძესთან, თბილისური, ანუ ამერული, ანუ ქართული რაგბი გადარჩება. ესე იგი, ახლა ყველაფერი ბატონი ჯანოს მჭევრმეტყველებაზე ჰკიდია!

## ომანიძე თუ ჭყონია?

ვთქვათ და ბატონმა ჯანომ იმარჯვა. მაშინ რა გველის? — რა და

დიდი შვიდკაცა, 11-12 სექტემბერს;
ამერის ჩემპიონატის თამაშები ორ ჯგუფად;
ოთხი ნაკრების ტურნირი, 15-19 ოქტომბერს;
ბავშვთა გუნდების რამდენიმე თითოდღიანი ფესტივალი;
მტკვრის გაღმა-გამოღმა გუნდების გალა-თამაში;
საქართველოს თასის ფინალი, 23 ნოემბერს; და
საქართველო — ლატვია, ფირას ჩემპიონატის C1 ჯგუფის მატჩი.

დიდი ხანია ცნობილია, რომ საქართველოში და ალბათ სხვაგანაც რაგბს მხოლოდ მოედანზე არ თამაშობენ. უფრო საინტერესო თამაში კულუარებსა და დერეფნებში (კავშირისა და არა სარაგბო დერეფნებში) მიმდინარეობს.

ახლაც, რაგბის კავშირის ყრილობის კვირაძალს, დიდი ფუსფუსი და მისვლა-მოსვლაა გაჩაღებული. ქართული რაგბი მორიგ პატრონს, მფარველსა და მეოხს დაეძებს, რაკიღა 1991 წლის მაისში არჩეული საპატიო პრეზიდენტი — ბატონი ენდელაძე ორგზის გალადგომისა და თანამდებობაზე დაბრუნების შემდეგ, როგორც ირკვევა, საბოლოოდ ჩამოშორდა რაგბს, კავშირის შინაურმა ინტრიგებმა კი დ. კილასონიას ერთხელაც აუცრუა გული საორგანიზაციო მოღვაწეობაზე, რის შედეგადაც ბოლო წლების აღმასრულებელი პრეზიდენტი სენაკში ფერმერულ მეურნეობაზე გადაერთო.

სარწმუნო წყაროების თანახმად, მორაგბეთა ორ დაჯგუფებას საპრეზიდენტოდ ორი კანდიდატი, ბატონები ომანიძე და ჭყონია შეუგულებია. ომანიძე რუსეთში, „ჰოლდინგ ცენტრში" მოღვაწეობს, და თავისი თანამშრომელი თბილისელი მორაგბეების პირით შემოუთვლია, რომ რაგბის შეწევნით ქართული საქმის კეთება სურს, რისთვისაც 50 მილიონ რუსულ მანეთსა და 50 ათას ამერიკულ დოლარსაც არ დაიშურებს. ჭყონია თბილისშია და „კოკა-კოლას" უძღვება. იგივე წყაროები მისი შენაპირების (თუკი საერთოდ შეჰპირებია) დეტალების შესახებ სდუმან.

არჩევანი ძნელი იქნება. უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ ორი წლის წინ სპორტის ყველა სახეობისათვის ერთნაირი წესდების თავს მოხვევა უეჭველად იჩენს თავს. ამ ყბადაღებულ წესდებაში, თუ არ მეშლება, გასაგებად არ წერია უმთავრესი: თუ ვინაა კავშირის სუბიექტი და ყრილობაზე ვისა აქვს ხმის უფლება; ამის უცოდნელად კი, დაგვეთანხმებით, ყრილობაზე შეიძლება საპატო ჩიტუაცია შეიქმნას.

თუმცა არც მთლად უიმედოდ უნდა ვიყოთ: როგორც ყოველთვის, საზრიანი მორაგბეები, იმედია, ახლაც იოლად გამოძებნიან ორიგინალურ გამოსავალს.

## რეზო კი ბალახს გაკრეჭს

ამასობაში ნაკრებისა და იმავდროულად „ვესტას" მწვრთნელი თ. ბენდიაშვილი სამომავლოდ აწყობს გეგმებს. საბოლოო მიზანი, რაღა თქმა უნდა, 1999 წლის მსოფლიო თასზე მოხვედრაა, ამწუთიერი გეგმები კი ალბათ სტუმრად ლუქსემბურგისა და შინ დამარცხებაზე შორს არ უნდა მიდიოდეს.

მწვრთნელმა გამოაქვეყნა ნაკრების კანდიდატთა სია, რომელიც მის მიერ შედგენილ საუკეთესო მოთამაშეთა სიადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ.



„აია" (8): გუგა ბაბუნაშვილი, ტიხონ ხახალეიშვილი, გელა ფირცხალავა, თამაზ ოდიშარია, თამაზ ფხაკაძე, დათო იობიძე, პაატა ტყაბლაძე, ემზარ ძაგნიძე
„ერქვანი": კახა მაჩიტაძე
„ვესტა" (16): მამუკა გაგნიძე, თამაზ ხუადე *, ალეკო ლიბრაძე, დიმიტრი ობოლაძე, კახა გიუნაშვილი *, გია გიუნაშვილი, რეზო ჯაფარაშვილი *, დათო ვართანიანი *, გუჯა იოვაძე, დათო ჩავლეიშვილი *, მერაბ მარჯანიშვილი, სანდრო ჩხენკელი, ალეკო ხვედელიძე, ლაშა ვაშაძე, აჩიკო ქავთარაშვილი, ნიკო ნატროშვილი
„შევარდენი" (8): ირაკლი ჩიქავა, სოსო პარნიკანაშვილი, ნუგზარ მგელაძე, შალვა ჯანელიძე, შოთა მოდებაძე, დემირ ძნელაძე, დავით სორდია, ირაკლი დვალი
„ამირანი" (7): აკაკი მაჭუტაძე, გიორგი ბერიაშვილი, ვიქტორ დიდებულიძე, ვაჟა კვარაცხელია, კახა ალანია, მიხეილ ჩაჩუა, სპირიდონ ლიპარტელიანი
„აზოტი" (5): მევლუდ მთიულიშვილი, ლევან ცაბაძე, გია რაფავა, ბორის იურინი, ლევან ჩიქვინიძე
„ყორჩები": ზაზა ლეჟავა
„თბილისი": დავით გეგელაშვილი

სიის გაცნობისას უმალ თვალში გეცემათ ვესტელთა სიმრავლე და რჩეულთა შორის „ქართველი ბლანკოს" შევარდნელი ნიკა „ბეირუთ" იურინის არყოფნა. რაც შეეხებათ ვესტელებს, ვარსკვლავდასმულთა ნაკრებში თამაში საეჭვოა, ვინაიდან ხუადე და ვართანიანი თავთავიანთი საქმეებით არიან დაკავებული, კ. გიუნაშვილი საფრანგეთში თამაშობს, ჩავლეიშვილი პოლონეთში გადადის სათამაშოდ, რეზო ჯაფარაშვილი კი უკვე ესპანეთშია.

ჯაფარაშვილი ალიკანტეს კლუბ „ვიიახოიაში", უშუალოდ კლუბის ოფისში სახლობს, აქვს საკუთარი ოთახი, სამზარეულო და აბაზანა. გუნდში რომ თამაშობს, ეგ კიდევ არაფერია. ესპანელთა მიერ დადგენილი პირობების თანახმად, უნდა იყოს გუნდის მეორე მწვრთნელი, ბავშვების მწვრთნელი და თამაშის წინ თურმე მოედანიც უნდა გაკრიჭოს და დახაზოს.

ემიგრაციაში ამერლებს არც იმერლები ჩამორჩებიან. ძაგნიძე და კომპანია მოსკოვში მოღვაწეობს და როგორც იტყობინებიან, ხანდახან კიდეც თამაშობსო. ასე, მაგალითად, თავად ნუგზარი თურმე მონინოს ხსა-ში ირიცხება!

რაც შეეხება ერთობ კოლორიტულ „ერქვანს", იგი, ეტყობა, მორიგ შარში გარევს საქართველოს რაგბის კავშირს. საქმე ისაა, რომ „ერქვანმა" განუსჯელად მიიღო „ევრაზიის პროფესიული რაგბის ლიგის" მიწვევა და მოსკოვს უნდა გამგზავრებულიყო საშვიდკაცო ტურნირში სასპარეზოდ. არადა, ეს ტურნირი ცამეტკაციანი რაგბის წესებით იმართება: ერთი, რომ „ერქვანი" ლიგის რაგბის წესებით თამაშს უბრალოდ ვერ შეძლებს; მეორეც, რაგბის კავშირი იძულებული შეიქნება, საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად „ერქვანს" დისკვალიფიკაცია მისცეს.

ასე იქნება თუ ისე, „ერქვანის" საქციელი ქართული სპორტის ისტორიის ახალი კარის — ლიგის რაგბის გალებით შეიძლება დამთავრდეს, ამას კი პერსპექტივაში ჩვეულებრივი რაგბის დაქცევა ხელეწიფება.

**ზაალ გიგინეიშვილი**

| ამჟამინდელი სატურნირო მდგომარეობა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ამერის I ჯგუფი** | **თ** | **მ** | **ფ** | **წ** | **ბ** | **ქ** |
| შევარდენი | 5 | 5 | 0 | 0 | 135-65 | 10 |
| ვესტა | 6 | 5 | 0 | 1 | 207-85 | 10 |
| ამირანი | 8 | 5 | 0 | 3 | 115-84 | 10 |
| აზოტი (რუსთავი) | 6 | 4 | 0 | 2 | 107-85 | 8 |
| თბილისი | 7 | 2 | 0 | 5 | 128-174 | 4 |
| ყორჩები | 5 | 0 | 0 | 5 | 71-154 | 0 |
| ქორები | 5 | 0 | 0 | 5 | 35-151 | 0 |
| **ამერის II ჯგუფი** | | | | | | |
| ლაერი | 8 | 8 | 0 | 0 | 209-43 | 16 |
| ლელო | 7 | 5 | 0 | 2 | 350-131 | 10 |
| რაში | 7 | 5 | 0 | 2 | 204-85 | 10 |
| ხაშური | 6 | 2 | 0 | 4 | 97-166 | 4 |
| უნივერსიტეტი | 7 | 2 | 0 | 5 | 104-141 | 4 |
| აკადემია | 6 | 2 | 0 | 4 | 97-112 | 3 |
| მარაო | 7 | 0 | 0 | 7 | 27-410 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ამერიკული მოდა



უდიდესი სპორტული შეჯიბრებები დღეს ერთ-ერთი, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებაა, გამოიწვიო საყოველთაო ინტერესი, გაართო და გაახალისო უამრავი ხალხი, წარმოაჩინო შენი ქვეყანა მთელი მსოფლიოს თვალწინ.

ყველა ეს ასპექტი განხორციელებული იყო შტუტგარტის მე-4 მსოფლიო ჩემპიონატზე მძლეოსნობაში. ეს იყო შესანიშნავად მომზადებული, ყოველმხრივ კარგად გაფორმებული სანახაობა, რაც მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციისა და მასპინძლების მონდომებამ, გერმანულმა წესრიგიანობამ და გავლენიან სპონსორთა გულუხვობამ განაპირობა.

ყველაზე უმთავრესი კი, რაც ყველა ასპარეზობის დედააზრია, სპორტული შედეგები იყო, რომლებიც ისეთივე მაღალი დონისა გამოდგა, როგორც მისი გარე, დამხმარე ატრიბუტიკა. ოთხი მსოფლიო რეკორდის გარდა, შტუტგარტის „გოტლიბ-დაიმლერ შტადიონის" ტრიბუნაზე შეკრებილი ათასობით მაყურებელი და ასევე მილიონობით ტელემაყურებელი სხვა მრავალი შესანიშნავი მიღწევის მხილველი გახდა.

მძლეოსნობის დისციპლინები, რომელთა სულ უფრო მზარდი პოპულარობა აშკარად თვალშისაცემია, თითქოს გავლენის სფეროებად აქვთ დანაწილებული სხვადასხვა ქვეყნებს, ოღონდ მათ შორის მყარი მიჯნა, ცხადია, არ არსებობს. სპრინტი, მაგალითად, ძირითადად ამერიკელთა სახეობად ითვლება, სტაიერული რბენა აფრიკელთა სახეობად და ა.შ. მაგრამ ამ ჩემპიონატს შეიძლება ტერიტორიული გადანაწილების ჩემპიონატი ვუწოდოთ. ამაში დამნაშავენი არიან ის ქვეყნები, რომლებიც თანდათან იმაღლებენ ხმას სპორტის ამ მეტად მასობრივ დისციპლინაში და ფავორიტებს არ უშინდებიან.

ცალკე სათქმელია მძლეოსნობის ჩინური სინდრომის შესახებ, რადგან ამ ქვეყანამ შტუტგარტში ოთხი ოქროს მედალი მოიპოვა და ამ მაჩვენებლით აშშ-ის გარდა ყველა ქვეყანას გაუსწრო. საკვირველი სანახავი იყო, როცა სამ კილომეტრზე რბენაში ჩინურმა ექსპრესმა — ამ ქვეყნის სამმა მორბენალმა ბოლო კილომეტრი ფანტასტიკური სისწრაფით — 2 წუთსა და 40 წამში გაირბინა და შორს მოიტოვა ფავორიტები: რუსი, ამერიკელი თუ ბრიტანელი მძლეოსნები.

თუმცა, სპეციალისტები ჩინელთა მიღწევებს იმით ხსნიან, რომ გერმანიის გაერთიანების შემდეგ ჩინეთმა გადაიბირა გდრ-ის ბევრი მწვრთნელი, რომლებმაც წვრთნის მეთოდიკისა და ფარმაცევტიკის (ე.ი. დოპინგის შეუმჩნევლად მიღების) ცოდნა კარგად შეუხამეს ამ უზარმაზარი ქვეყნის სპორტულ პოტენციალს. გდრ-ში ხომ სწორედ ქალთა მძლეოსნობა და ცურვა ჰყავოდა, ხოლო შტუტგარტში სწორედ ჩინელმა ქალებმა ისახელეს თავი და არა კაცებმა. ორი წლის წინ კაცს მსგავსი პროგნოზი რომ გამოეთქვა, ჩინელად მიგიჩნევდნენ.

ვაჟთა შორის სპრინტში მუდმივმა ფავორიტებმა — ამერიკელებმა 100 და 200 მეტრზე ვერც ერთი ოქრო ვერ წაილეს შინ. მათი აღიარებული ვარსკვლავი კარლ ლუისი აშკარად დაჩაგრა ჯერ ბრიტანელმა ზანგმა ლინფორდ კრისტიმ, ხოლო 200 მეტრიან დისტანციაზე ოდნავ უფრო ფერმკრთალმა ნამიბიელმა ფრანკი ფრედრიქსმა იმედის ნიშანწყალი არ დაუტოვა არავის.

ქალებში ამერიკელებმა მაინც გატეხეს ნავსი უნივერსალ გეილ დივერსის წყალობით (100 მ), მაგრამ 200 მეტრზე კრისტის თანატოლმა, 33 წლის იამაიკელმა მერლინ ოტიმ თავი დააღწია მუდმივი პრიზიორის სახელს და ჩემპიონობა მოიპოვა.

სამაგიეროდ, ამერიკელთა პოტენციალი სპრინტში სულ სხვა სახით გამოვლინდა ამანათრბენებში: მათ ოთხი ამანათრბენიდან სამში გაიმარჯვეს და მხოლოდ 4X100 მ რბენაში ჩამორჩნენ რუს ქალთა გუნდს (მერე როგორ: ორივე კვარტეტს ერთნაირი შედეგი ჰქონდა და რუსებს პირველობა ფოტოფინიშმა მიაკუთვნა; მეშვიდე „სარბიელში" ჩვენ გამარჯვება შეცდომით ამერიკელებს მივაწერეთ. — რედ.).

სტაიერულ დისტანციებზე ეთიოპთა და კენიელთა ქიშპობამ ყველაფერი დაჩრდილა. მართალი გითხრათ, შტუტგარტში უდიდესი აჟიოტაჟი 100 მეტრზე რბენის ფინალებმა და ათჭიდმა გამოიწვია, მაგრამ ყველაზე დიდი და ხანგრძლივი ოვაცია წილად ხვდა 5 კმ-ზე რბენაში გამარჯვებულ 18 წლის კენიელ ისმაილ კირუის — იმ ვაჟკაცური სირბილისათვის, რომელიც მან და მისმა ორმა თანამემამულემ უჩვენა მაყურებელს.

კენიელები არ მალავდნენ და ფინიშის შემდეგ გამოტყდნენ, რომ მათ მთავარ მიზანს დაუძინებელი მტრის, სახელგანთქმული მაროკოელი სტაიერის, ჰალიდ სკახის ჯობნა იყო, რის გამოც ეთიოპებს ყურადღებასაც არ აქცევდნენ. კენიელებს მიაჩნდათ, რომ მათ ქვეყანას სკახმა სრულიად უსამართლოდ დააკარგვინა ოქროს მედალი ბარსელონის ოლიმპიადაზე, როცა ერთი წრით ჩამორჩენილი თანამემამულე დაიხმარა ყველა წესის დარღვევით.

კენიელთა რევანში სრული იყო. ლაწირაკების ბანდამ (კირუი, აკი გითხარით, 18 წლისა იყო, მაიკლ ჩეზირე — 23 წლისა, პოლ ბიტ...კი 24-ს...) ...რწყიხვალე მანევრებ... უტირა ბებერ ქოფაკ სკახს. ...სამეულიდან კენიელმა მწვრთნელებმა უფრო ცუდად მომზადებული ბიტოკი გასწირეს: მან პირველი კილომეტრი სწრაფად გაირბინა, შემდეგ კი წინ კირუი გაიჭრა და რამდენიც არ ეცადა სკახი და სამი ეთიოპი, კირუის ველარ დაეწივნენ. კირუიმ ჩემპიონატების რეკორდი დაამყარა. აშკარად შეეძლო მსოფლიო რეკორდსაც შესწვდომოდა, მაგრამ იგი გამარჯვებისათვის გასწირა. შემდეგი სამი ადგილი ეთიოპებმა დაიკავეს.

სწორედ ამ სამიდან ერთ-ერთი ეთიოპი ჰაილე გაბრესილასე გახდა 10 კმ-ზე რბენაში ჩემპიონი, მაგრამ უსამართლოდ. როცა კენიელმა მოზეს ტანუიმ საშინლად წყვეტილი რბენით ყველა მეტოქე ჩამოიცილა, გაბრესილასემ ბოლო წრის დასაწყისში სამჯერ დააბიჯა უკნიდან ფეხი, ბოლოს კი ქაცვებიანი ფეხსაცმელი ქუსლიდან წააძრო. ტანუიმაც საბოლოოდ გაიძრო წაღი და ცალი ფეხით შიშველამ ფინიშისაკენ გამწარებულმა მოჰკურცხლა, მაგრამ ზედ ფინიშზე ვერაგი ეთიოპი წამოეწია. მსაჯთა კოლეგიამ კენიელთა პროტესტი არად ჩააგდო და ეთიოპიას ერთადერთი ოქრო შეუნარჩუნა.

ერთობ მოულოდნელი იყო თეთრკანიანი ამერიკელი მარათონელის, მაიკლ პლაჩესის გამარჯვება, თანაც ძალზე ცხელ, დახუთულ ამინდში. სპრინტი და ხტომა კიდევ ჰო, მაგრამ ამერიკელები სხვებს მარათონში რაღას ერჩოდნენ.

ჩემპიონატში საუცხოო დუბლები განხორციელდა. ესტაფეტები რომ ამერიკისაა, ყველამ იცის, მაგრამ ესპანელმა ვაჟებმა სპორტულ სიარულში დაამყარეს ჰეგემონია, კუბელებმა — სიმაღლეზე ხტომაში. იყო ერთი ქვეყნიდან მთელი კვარცხლბეკის ...დ კავების ფაქტებიც. მაგალითად, ...ელთა მიერ 3 კმ-ზე წინაღობებით რბენაში, 3 კმ-ზე — ჩინელი ქალების მიერ. ადრე იგივეს ახერხებდნენ საბჭოთა ეროსმტყორცნელები, მაგრამ ახლა ისინი მთელ დსთ-ში გაიბნენ და რუსებს თავიანთ სახეობაში ბრინჯაოს მედალი რაა, ისიც აღარ ერგოთ.

მერლინ ოტის მსგავსად, გერმანიაში ბევრი გულშემატკივარი ჰყავდა ...ამაზეს ზანგ მორბენალს სანდრა ...კარმერ-პატრიკს, მაგრამ ინგლისელმა სალი განელმა მას ზედ ფინიშზე აართვა ჩემპიონობაცა და მსოფლიოს რეკორდიც. ამერიკელ ვაჟთა კვარტეტი 4X400 მ ესტაფეტაში ასე ძლიერი არასოდეს ყოფილა. მათ პირველი წრე 43,50 წამში გაირბინეს და მსოფლიო რეკორდიც დაამყარეს.

სერგეი ბუბკას ძალიან უჭირს დიდი შეჯიბრებების მოგება. ახლაც ძალიან მძიმედ დაიწყო ასპარეზობა, მაგრამ მერე ნერვებს მოერია და ერთპიროვნულად გაბატონდა სახტომ სექტორში, მსოფლიო რეკორდზე შეტევისას კი ცოტა წაიპოზიორა.

გამწარებულ რუსებს, რომელთაც ...ოლოდ შეჯიბრების ბოლო დღეებში ერგოთ სამი ოქროს მედალი (სამივე ქალებმა დაიმსახურეს), მანამდე ყველაზე დიდი შანსი 800 მ-ზე ჰქონდათ, მაგრამ მოზამბიკელმა მუტოლამ მათ ლიდერ გურინას პირში ჩალა გამოავლო და მერე საპატიო წრე დაურტყა თავისი ეროვნული დროშით, რომელზეც კალაშნიკოვის ავტომატია გამოსახული.

ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატში ამერიკელებმა 10 ოქრო მოიპოვეს, საბჭოთა მძლეოსნებმა — 9, გერმანელებმა — 5, კენიელებმა — 4. მას შემდეგ თითქმის საუკუნე გავიდა ...აფრო პოლიტიკური მოვლენების გამო. ახლა ამერიკელები უდაო ფავორიტები არიან. მათ 13 ოქრო აქვთ და ამ თვალსაზრისით მთელი ...ხრა საფეხურით უსწრებენ დანარჩენებს. რუსებმა ამერიკელთა ...ალად ყველაზე მეტი მედალი დაიმსახურეს, მაგრამ მათგან მხოლოდ სამია ოქროსი. ყველაფრიდან ჩანს, რომ მსოფლიო მოდას მძლეოსნობაში ამერიკელები კარნახობენ. ადვილი წარმოსადგენია, რა მოხდება ატლან...ს ოლიმპიადაზე, თუმცა მანამდე წინ ...ტებორგის მსოფლიო ჩემპიონატია.

**გიორგი ჩოჩიშვილი**

თბილისი-შტუტგარტი-თბილისი



მაიკლ ჯონსონი (აშშ)




...ლ ჩეზირე (კენია) და ხაიმე გაბრესილასე (ეთიოპია)




ლინფორდ კრისტი (დიდი ბრიტანეთი)



მარია მუტოლა (მოზამბიკი)

## შედეგთა დაფა

### კალათბურთი

სალონიკი. 17 წლამდე ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ეტაპი. 17-23 აგვისტო საქართველოს ნაკრებმა მოუგო შვედეთს — 68:31, სლოვაკეთს — 93:68; წააგო რუსეთთან — 63:77, თურქეთთან — 71:90, საბერძნეთთან — 66:110. ფინალურ ეტაპზე გავიდნენ: საბერძნეთი — 5 მოგება; რუსეთი — 4; თურქეთი — 3. ვერ გავიდნენ — საქართველო — 2; შვედეთი — 1; სლოვაკეთი — 0

### ველოსპორტი

ოსლო. მსოფლიოს ჩემპიონატი საგზატკეცილო ველორბოლაში. 25 აგვისტო მოყვარულები. ვაჟები. 100 კმ. გუნდური რბოლა. 1. იტალია (ჯანფრანკო კონტრი, როზანო ბრასი, როზარიო ფინა, კრისტიან სალვატო) — 2:18.08; 2. გერმანია — 2:19.29; 3. შვეიცარია — 2:20.36

ქალები. 50 კმ. გუნდური რბოლა. 1. რუსეთი (ოლგა სოკოლოვა, სვეტლანა ბუბენკოვა, ალექსანდრა კოლიასევა, ვალენტინა პოლხანოვა) — 1:06.31,6; 2. აშშ (ივ სტეფენსონი, ჯინ სოული, ჯენ ბოლენდი, დედ დიმეტი) — 1:09.32,3; 3. იტალია (რობერტა ბონანომი, ალესანდრა კაპელოტო, მიკელა ფანინი, ფაბიანა ლუბერინი) — 1.09.34,7.

### ბალახის ჰოკეი

ამსტელვეენი, ჰოლანდია. ყოველწლიური ტურნირი „ჩემპიონთა თასი" მსოფლიოს 6 უძლიერესი ქალთა ნაკრების მონაწილეობით

II ტური. 24 აგვისტო. ავსტრალია — ესპანეთი 8:1, ჰოლანდია — გერმანია 1:0, კორეა — დიდი ბრიტანეთი 3:1.

III ტური. 25 აგვისტო. ავსტრალია — გერმანია 1:0, დიდი ბრიტანეთი — ესპანეთი 2:0, კორეა — ჰოლანდია 0:0.

მდგომარეობა 3 ტურის შემდეგ: ავსტრალია — 6 ქულა, ჰოლანდია — 5; კორეა — 4; დიდი ბრიტანეთი — 2; გერმანია — 1; ესპანეთი — 0. კვირას გაიმართება ფინალი პირველ ორ ადგილზე გასულებს შორის

### ჩოგბურთი

კომაკი, აშშ. კაცთა საერთაშორისო ტურნირი. საპრიზო ფონდი 300 ათასი დოლარი.

პირველი წრე. ანდრეი ჩესნოკოვი (რუსეთი) — ბორის ბეკერი (გერმანია) 6:4, 3:6, 6:2; მარკ როსე (შვეიცარია) — რონალდ აუენორი (ჰაიტი) 6:4, 6:4; სტეფან ედბერგი (შვედეთი) — ბრედ გილბერტი (აშშ) 6:3, 6:0; მიხაელ შტიხი (გერმანია) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:7 (6:8), 7:6 (11:9), 6:1; არნო ბეჩი (საფრანგეთი) — პეტრ კორდა (ჩეხეთი) 2:6, 2,6; ლუის მატარი (ბრაზილია) — იან სიმერინკი (ჰოლანდია) 6:7 (1:7), 6:4, 7:6 (7:5); სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) — ხაიმე ისაგა (პერუ) 7:5, 6:2; ეიალ რანი (ისრაელი) — იონას სვენსონი (შვედეთი) 6:1, 6:3

სკენექტადი, აშშ. საერთაშორის ტურნირი. საპრიზო ფონდი 350 ათასი დოლარი.

პირველი წრე. კაცები. კარლოს კოსტა (ესპანეთი) — ანდრეი ოლხოვსკი (რუსეთი) 7:6 (7:4), 4:6, 6:4; ივან ლენდლი (აშშ) — გიიომ რუ (საფრანგეთი) 7:5, 6:3. ამათ გარდა მოიგეს: კარელ ნოვაჩეკმა (ჩეხეთი), ხორდი ბურილიომ და ხავიერ სანჩესმა (ესპანეთი), ბერნდ კარბახერმა (გერმანია), რიჩარდ ფრომბერგმა (ავსტრალია), ნიკლას კულტიმ და მაგნუს ლარსონმა (შვედეთი) კენეტ კარლსენმა (დანია)

ქალები. ლეილა მესხი — პატრისია ჰაი (კანადა) 7:5, 6:2. ლარისა ნეილანდ-სავჩენკო (ლატვია) — რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი) 6:3, 6:1. ამათ გარდა მოიგეს: იუდით ვიზნერმა (ავსტრია), ემანუელა სარდომ (შვეიცარია), საბინა ჰაკმა და კლაუდია პორვიკმა (გერმანია), ჯინჯერ ჰელჯესონმა (აშშ), ასა კარლსონმა (შვედეთი).

# გოლისთვის —მილიონი



ბელფასტში გადამწვეტი მატჩის წინ, ყველა ემზადება: ფეხბურთელებიც, გულშემატკივრებიც, ჟურნალისტებიც. თუმცა, რაღა თქმა უნდა, ყველა — თავისებურად. ჩვენ, სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ ოლსტერში ჩვენი კორესპონდენტის მისავლინებლად საჭირო თანხისთვის მოგვეყარა თავი და თამაშგარე მდგომარეობაში დარჩენის რეალური საფრთხე დაგვემუქრა, მაგრამ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლომბარდისა" და მისი გენერალური დირექტორის ვიტალი ნიშნიანიძის თანადგომით მაინც მივიღებთ თამაშში „მონაწილეობას". საქმე ისაა, რომ „ლომბარდი" და „სარბიელი", რომელთა შორისაც თანამშრომლობაზე დიდი ხელშეკრულება დაიდო, ბელფასტის მატჩში გატანილი ყოველი გოლისთვის დინამოელებს სპეციალურ პრემიას — 1 000 000 კუპონს გადასცემენ. ამ ინიციატივაში ლომის წილი, ბუნებრივია, „ლომბარდს" უდევს და ამიტომაც მივმართეთ ბატონ ვიტალი ნიშნიანიძეს:

— რას მეკითხებით, რამ მიმაღებინა ასეთი გადაწყვეტილება? — გაიკვირვა ბატონმა ვიტალიმ — ფეხბურთი ხომ ჩემი და არა მარტო ჩემი, მთელი საქართველოს საყვარელი სპორტია. სპორტიც არ არის, მოვლენაა მთელი. ჩვენში, სამწუხაროდ ჯერ თითო ბიზნესმენი თითო გუნდს ვერ აიყვანს, მაგრამ წახალისება და დახმარება ხომ შეგვიძლია. „დინამოს" მთელმა თბილისმა უნდა მოუაროს.

**— თავად ხომ არ თამაშობდით ფეხბურთს ახალგაზრდობაში?**

— არა, უბრალოდ გულშემატკივარი ვარ. მიმაჩნია, რომ მატერიალური დაინტერესება, ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია ფეხბურთელისთვის. ახალგაზრდა მოთამაშე უზრუნველყოფილი უნდა იყოს. ასეთი ძლიერი, ერთ ანსამბლად შეკრული თავდასხმა „დინამოში" მე არ მახსოვს. იყვნენ დიდი ინდივიდუალისტები, მაგრამ დღევანდელი ბიჭების მსგავსი ერთსულოვანი თამაში არ ყოფილა. ეს შემადგენლობა ერთი-ორი წელიწადი თუ შევინარჩუნეთ, საუცხოო იქნება, ხოლო თუკი მაინც საზღვარგარეთისკენ გაუწევთ გული, ჩემი რჩევა იქნება, არ აჩქარდნენ, საკუთარი თავის ფასი თვითონაც გაიგონ და ევროპასაც კარგად გააგებინონ.

**— რამდენი მილიონის გაღებას ელით პირველ სექტემბერს?**

— ღმერთმა ქნას, სამი მილიონი მაინც გამელოს. ფინალში გავიდნენ და გინდაც სულ გაგვაკოტრონ.


შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

«ლომბარდი»

თბილისი, ჯიქიას ქუჩა, 8



სარბიელი

ტოტალიზატორი "CROCO"


თამაშის წესები:

თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიცნოს მატჩის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონი გაკეთებულია ერთდროულად რამდენიმე მატჩის შედეგის გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და შესაბამისად მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც. ამ შემთხვევაში მოგება შეადგენს დადებული თანხის ოთხმაგ რაოდენობას.

ფსონის მინიმალური თანხაა 500 კუპონი. ფსონების ვარიანტების რაოდენობა და დადებული თანხის სიდიდე არ არის შეზღუდული.

ფსონების მიღება წყდება მატჩის დღეს 16 [illegible]ზე. მოგებები გაიცემა მატჩის მეორე დღეს.

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს ეროვნული სტადიონის მეხუთე სალაროში 13-დან 16 საათამდე. სასტუმრო „აჭარაში" ფსონების მიღება დროებით შეჩერებულია.

უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 28 აგვისტო | ლევერკუზენი — დორტმუნდი | | 1,5 | 2,0 | 3,5 |
| | შალკე 04 — კიოლნი | | 1,5 | 2,0 | 3,5 |
| | ნიურნბერგი — აინტრახტი | | 2,3 | 2,0 | 2,0 |
| | კაიზერსლაუტერნი — ვერდერი | | 2,1 | 2,0 | 2,1 |
| | სენტ-ეტიენი — ბორდო | | 2,0 | 2,0 | 2,3 |
| | ოსერი — ლიონი | | 1,7 | 2,0 | 2,8 |
| | ლე ავრი — სტრასბური | | 1,7 | 1,7 | 3,5 |
| | მონაკო — მარსელი | | 2,0 | 2,0 | 2,3 |
| 29 აგვისტო | ატალანტა — კალიარი | | 1,4 | 2,0 | 4,6 |
| | ჯენოა — რომა | | 2,0 | 2,0 | 2,3 |
| | ლეჩე — მილანი | | 3,5 | 1,7 | 1,7 |
| | უდინეზე — პარმა | | 2,0 | 2,0 | 2,3 |
| | არგენტინა — პარაგვაი | 0:1 | 1,5 | 1,7 | 4,6 |
| | კოლუმბია — პერუ | 0:1 | 1,4 | 1,7 | 5,8 |
| | ბრაზილია — ბოლივია | 0:1 | 1,6 | 1,6 | 4,6 |
| | / ფორმულა-1. პირველი სამეული | | 10,0 | | |
| 1 სექტემბერი | ლინფილდი — დინამო | | 3,0 | 1,7 | 1,8 |
| | ნორმა — ჰიკი | | 3,5 | 1,7 | 1,7 |
| | არაუ — ომონია | 0:2 | 2,4 | 1,6 | 2,4 |
| | შელბურნი — კარპატი | | 2,3 | 1,5 | 2,6 |
| | ქალგინისი — კოშიცე | | 2,1 | 2,0 | 2,1 |

შენიშვნა: სათასო მატჩებში ჩაითვლება მატჩის ძირითადი დროის შედეგი. ევროტურნირების თამაშებზე (ლინფილდი — დინამოს გარდა) ფსონების მიღება მიღება შეწყდება სამშაბათს 16 საათზე


იყიდება VOLVO 740 GL. დარეკეთ: 38 11 14 (დღისით), 29 43 49 (საღამოს)



კომერციული ბანკი მინაგობანკი

MB

Commercial Bank MINAGOBANK

სასტუმრო „აჭარა"
ოფისი № 305
ტელეფონი: 369 096, 369 407

„ბანკი, რომელსაც არ ჰყავს უკმაყოფილო კლიენტი"


## საჯილდაო

პირველი წრის პასუხები:

| | |
|---|---|
| (1) რა სიგრძისაა მარათონული რბენის ტრასა? | 42 კმ და 195 მ |
| (2) წლეულს ვინ სცნეს საქართველოს საუკეთესო კალათბურთელად? | შალვა ცხვედიანი |
| (3) რომელი ქვეყნები არიან მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები ფეხბურთში? | ბრაზილია, იტალია და გერმანია |
| (4) რამდენ დაფაზე იმართება ქალთა შეჯიბრება საჭადრაკო ოლიმპიადებზე? | სამ დაფაზე |
| (5) რისი საფარი აგია უიმბლდონის კორტებზე? | ბალახისა |
| (6) რამდენ ქულად ფასდება რაგბში ლელოს გატანა? | ხუთ ქულად |
| (7) ვაჟთა რომელი გუნდია ფრენბურთის ოლიმპიური ჩემპიონი? | ბრაზილია |
| (8) ფორმულა-1-ში რომელ დღეს იმართება შესარჩევი რბოლები? | პარასკევსა და შაბათს |
| (9) ზამთრის ოლიმპიადის რომელი დედაქალაქი გააპარტახა ომმა? | სარაევო |

ეროვნული ბიბლიოთეკა



**როგორც ჩანს, ეროვნული საკალათბურთო ლიგის შექმნაზე საუბარს, ამ ეტაპზე წერტილი დაესვა. თავისთავად იდეა რომ ძლიერია, ამას მოწინააღმდეგეებიც ვერ უარყოფენ და აღიარებენ, რომ ადრე თუ გვიან ლიგა ჩამოყალიბდება. ჩვენი თანამოსაუბრეა იდეის ავტორი, სპორტკლუბ „ვითას" ვიცე-პრეზიდენტი თემურ დათიკაშვილი.**

**— ბატონო თემურ, რამ განაპირობა თქვენი პროექტის წარმოშობა?**

— საქართველოში კალათბურთთან დაკავშირებული თითქმის ყველა ორგანიზაცია უსახსრობას უჩივის. ეს მართლაც ასეა, რადგან სახელმწიფო დაფინანსება მეტისმეტად მცირეა. ასეთ მდგომარეობაში სხვა სირთულეებთან ერთად, შეუძლებელია ნორმალური ეროვნული ნაკრების ყოლა. ნაკრები კი მოგეხსენებათ, განმსაზღვრელია. სპორტის ნებისმიერ სახეობაში, ამა თუ იმ ქვეყნებზე, ეროვნული გუნდის მიხედვით მსჯელობენ. ამ პრობლემების გადაჭრის სურვილმა წარმოშვა აზრი პროფესიული ლიგის შექმნის შესახებ.

**— ჯერაც შეუქმნელ ლიგას „საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ლიგა" ჰქვია და ამ სახელწოდებაში სიტყვა პროფესიული არ ურევია.**

— სახელწოდებას მნიშვნელობა არა აქვს. ლიგას პროფესიული რომ ერქვას, უმაღლესი სასწავლებლების გუნდებს ვერ გამოვიყვანთო, შემოგვედავებიან. კი ბატონო, ერქვას ეროვნული.

**— ოპონენტები დაუყოვნებლივ გამოჩნდნენ?**

— ჯერ იმას ვიტყვი, რომ უმრავლესობამ მხარი დაგვიჭირა. მათ რიცხვში არიან მწვრთნელები, ჟურნალისტები, მოკლედ ყველა, ვინც საქმეს აკეთებს. რაც შეეხება მოწინააღმდეგეებს, მათი მთავარი არგუმენტი ის არის, რომ ლიგის დასაფუძნებლად შესატანი ფული ყველას არ გვაქვს, რაც გუნდების რაოდენობის შემცირებას გამოიწვევს, ამიტომ ამაზე საუბარი ჯერ ადრეაო. ჯერ. ერთი, სჯობია ლიგაში ხუთი ან ექვსი ბრძოლისუნარიანი გუნდი გამოდიოდეს, ვიდრე ბევრი და ისეთი, რომელთა 40-50 ქულით დამარცხება ლიდერს არ გაუჭირდება. კლასი მხოლოდ ბრძოლაში ამაღლდება. მეორეც, ყველას, ვინც განაცხადა ფული არ გვაქვსო, პირადად აღვუთქვი, რომ სპონსორს გამოვუნახავდი. არ ისურვეს. წლეულსვე ნახავთ, რომ ისინი ძველებურ პირველობაშიც ვერ გამოიყვანენ გუნდებს. განა ურთიერთგამომრიცხავი არ არის? ერთის მხრივ, ფული არ გვაქვს და ლიგა იმიტომ არ გვინდაო. მეორე მხრივ, გუნდს გამოვიყვანთო. თუ ფული არ ქვთ გუნდს როგორ გამოიყვანენ, თუნდაც ძველებურ ჩემპიონატში? ხდება ის, რაც ლოგიკურია. მოთამაშეები გადადიან იმ კლუბებში, რომლებიც მეტ ანაზღაურებას სთავაზობენ, ხოლო კანონი იმისა, რომ ესა თუ ის კალათბურთელი გააჩერონ იქ, სადაც მას ცოტას უხდიან, არსად არსებობს და ვერც იარსებებს.

**— წლეულსვე აპირებდით თქვენი იდეის ხორცშესხმას?**

— წლეულსვე მინდოდა. ვაპირებდით კომერციული სამსახურის შექმნას, რომელსაც თავად გავუწევდი კონსულტაციებს. თუ საჭიროება მოითხოვდა, უმეტეს დროს იქ გავატარებდი.

**— ახლა, საბოლოოდ შეეგუეთ იმას, რომ ლიგა წლეულს აღარ ჩამოყალიბდება?**

— ფედერაციის ბოლო სხდომაზე უნდა მიმეტანა საბოლოოდ დახვეწილი დებულება. ამ დროს ოჯახური მიზეზების გამო, ერთი კვირით საზღვარგარეთ მომიხდა წასვლა და რომ დავბრუნდი, ამბავი დამახვედრეს, უკვე გვიანიაო. კი ბატონო, დავიცადოთ ერთი წელიწადი.

# პროფესიული საკალათბურთო ლიგა გაისად?



**— ლიგა წლეულსვე რომ დაფუძნებულიყო, რა გამოიცვლებოდა ქართულ კალათბურთში?**

— ამაღლდებოდა დისციპლინა, გაუმჯობესდებოდა მსაჯობა. შემოვიღებდით ფულად ჯარიმებს და წესრიგის დამრღვევი გუნდები შეტანილი თანხიდან მათთვის დარიცხულ პროცენტებს ველარ მიიღებდნენ, რაც აყალმაყალის მოყვარულებს დააოკებდა. კიდევ ერთი, ხომ ხედავთ, ჩვენი კალათბურთელები ევროტურნირებზე არ დაუშვეს, პასუხს კი არავინ არაფერზე აგებს. ლიგა რომ ყოფილიყო ასე არ მოხდებოდა. ჩვენი გუნდების არდაშვება უყურადღებობის ბრალია. თუ სპორტის სხვა სახეობებმა მონახეს გზები და ევროთასებზე მონაწილეობას იღებენ, განა არ შეიძლებოდა კალათბურთშიც იგივე მომხდარიყო?

**— თქვენი პროექტისადმი წინააღმდეგობა იმით ხომ არ არის გამოწვეული, რომ ვინმეს შეეშინდა, ეს ხალხი თავისი ლიგით უმუშევრად დაგვტოვებსო?**

— თავიდანვე აშკარად ითქვა, რომ ლიგა ექვემდებარება ფედერაციას. ჩვენ რომ პარალელური სტრუქტურა შეგვექმნა ფიბა არ გვცნობდა. ფედერაციის მხრიდან ჩვენს იდეას წინააღმდეგობა არ შეხვედრია.

**— გაისად აღარ შეგხვდებათ წინააღმდეგობა?**

— ძველი არგუმენტები აღარ ექნებათ. უბრალოდ დაეშლებათ გუნდები და იმიტომ. საერთოდ, დროა, ყველა კონტრაქტების სისტემაზე გადავიდეს. კონტრაქტის დამრღვევ კალათბურთელს ფედერაცია აღარ დაუშვებს შეჯიბრებაზე.

**— როგორ ჩატარდება წლევანდელი პირველობა?**

— კარგი გუნდები ეყოლებათ „დინამოს", „მერანს", „მართვეს", „ჯიქს". გაძლიერდა ჩვენი კლუბიც, რომელიც ალბათ წლეულს უფრო იოლად გახდება ჩემპიონი, ვიდრე შარშან. შვედეთიდან შენგელია შემოგვიერთდა, საბერძნეთიდან ტურაშვილი, თსუ-დან ჩუბინიძე, „მართვედან" ბექანიშვილი, ხონიდან მაჭარაძე. მინდა გულისტკივილით აღვნიშნო, რომ „ვითას" გამოაკლდა მწვრთნელი, ყველასთვის საყვარელი ადამიანი დიმა ლაბაძე, რომელიც მოულოდნელად გარდაიცვალა.

**— და ბოლოს...**

— და ბოლოს, წლევანდელი პირველობა დაგვანახებს, თუ ვინ იყო მართალი და ვინ — მტყუანი.

ილია ბაბუნაშვილი



# კავკასიონიდან ჰიმალაის გოლიათებამდე



**ახლა რომ საბჭოთა კავშირი არსებობდეს, ხვალ ამ ქვეყნის ალპინიზმის 70 წლისთავს აღნიშნავდნენ. ბევრ საინტერესო ასვლას გავიხსენებდით. მათ შორის უთუოდ გავიხსენებდით მყინვარწვერზე (5043 მ.) თბილისის უნივერსიტეტელთა 1923 წლის 28 აგვისტოს ლაშქრობას. მაშინ პროფესორი გიორგი ნიკოლაძე ადგილობრივ მეგზურ იაგო კაზალიკაშვილთან ერთად სათავეში ჩაუდგა თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტ-მასწავლებელთა 18-კაციან ჯგუფს და მყინვარწვერი დალაშქრა.**

...ეს მწვერვალია, — წერს გიორგი ნიკოლაძე, — მოწინავეებმა საფეხურების ჭრას თავი დაანებეს და პირდაპირ ზევით აირბინეს...

მაშ მიზანი მიღწეულია... აღსრულდა მრავალი წლის ოცნება. მრავალი დღის შრომა და მზადება ასე ბრწყინვალედ დაგვირგვინდა. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა..."

ამ ასვლამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა. მთამსვლელობის მცოდნენი გაოცებულნი იყვნენ მყინვარწვერზე ლაშქრობის მასობრიობით, რომლის მსგავსი ალპინიზმის ისტორიას არ ახსოვდა. ყველა მიუთითებდა, რომ მყინვარწვერზე ამსვლელთა შორის ხუთი ქალიც იყო...

აი, ასეთი შთამბეჭდავი გახლდათ საბჭოთა ალპინიზმის თავფურცელი.

მაგრამ ეს ყოველივე სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მანამდე ქართველები მწვერვალზე არ ადიოდნენ. ცნობილია, რომ ქართველები, გასული საუკუნის მიწურულსა და ამ საუკუნის დასაწყისში უცხოელებს, როგორც მეგზურები, კავკასიონის მწვერვალებზე თან მიჰყვებოდნენ და მიზანსაც მათთან ერთად აღწევდნენ. ისიც ცნობილია, რომ 1923 წლამდე ქართველები ეულადაც ასულან მწვერვალებზე და ჯგუფურადაც.

მრავალი ფაქტია იმისაც, რომ ჩვენს წინაპრებს უხსოვარ დროიდან ჰქონდათ მთაში სიარულის ჩვევები. ამის შესახებ მეტყველებს მრავალი ლეგენდა, ლეგენდებში კი ხშირად სიმართლის ანარეკლია. თავის დროზე „განდეგილის" ლეგენდარული ბეთლემის არსებობა მხოლოდ ლეგენდა იყო, მაგრამ შემდეგ მართლაც დადასტურდა ამ ქვაბულის არსებობა მყინვარწვერის ფერდობებზე 4100 მეტრის სიმაღლეზე მდებარე მიუვალ კლდეებში.

გამართლდა აგრეთვე ლეგენდა თუ გადმოცემა მწვერვალ ბრუტსაბძელაზე საკულტო ნაგებობის არსებობის შესახებ. არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ქუთაისიდან 50 კილომეტრის დაშორებით ხვამლის 300-მეტრიან შეეულ კლდეში არსებული გამოქვაბულებიც...

გავიხსენოთ ბატონიშვილის „კალმასობაც", რომელშიც ნათქვამია, მღვდელი იოსებ მოხევე მყინვარწვერზე ავიდაო.

მოხევეთა გადმოცემით, მყინვარწვერზე ძმისწულთან ერთად ასულა ბერი მამუკა, რომლის სიტყვებით გადმოცემული მწვერვალის აღწერილობა, დღემდე ახსოვთ მოხევეებს. მამუკას უთქვამს: „მთის წვერი საგანგებოდ გადაჭრილსა ჰგავს და წარმოადგენს კალოსავით მრგვალ და ხელის გულივით სწორ ვაკეს"... მწვერვალი „წვრილის თოვლივით არის შეფერილი ისე, რომ გეგონება თოვლის კორკოტი ჰყრიაო".

ზუსტად ასეთია მყინვარწვერი, რომელზედაც 1923 წლის ასვლამ საბჭოთა ალპინიზმის დასაწყისი გვამცნო. ახლა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ხელახლა დაბადებული ქვეყნები ალბათ თავიანთი ალპინიზმის დაბადების თარიღს გადახედავენ და დააზუსტებენ, მაგრამ ერთი რამ ცხადია, პირველობას ისინი და მრავალი სხვაც ჩვენ ვერ შეგვეცილება. ისინი ვერ შეგვეცილებიან ვერც კლდოვანი ასვლების დაწყებაში და ვერც ტრავერსების დანერგვის პრიორიტეტში.

მართლაც განუზომელი იყო საქართველოს მთამსვლელთა წვლილი საბჭოთა ალპინიზმის განვითარებაში. 1949 წლიდან, როცა საკავშირო ჩემპიონატებს ჩაეყარა საფუძველი, ქართველ მთამსვლელთა გუნდებმა თერთმეტი პირველი, ათი მეორე და შვიდი მესამე ადგილი მოიპოვეს. იყო შემთხვევები, როცა ქართველი მთამსვლელების ერთბაშად ორი გუნდი საკავშირო ჩემპიონატების სხვადასხვა ხარისხის მედლების მფლობელი ხდებოდა. ქართული ალპინიზმის მემატიანე გვერდს ვერ აუვლის 1976 წელს, როცა საქართველოს მთამსვლელთა ერთბაშად ორი გუნდი გახდა ჩემპიონი.

ქართველ მთამსვლელთა მიღწევების აღიარება იყო ისიც, რომ საბჭოთა ალპინიზმის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო თბილისში გაიმართა, აქვე მოეწყო ნახევარსაუკუნოვანი იუბილეც, რომლის დღეებშიც მთამსვლელთა საერთაშორისო ასოციაციების კავშირის (უიაა) გენერალური ასამბლეა ჩატარდა. რა თქმა უნდა, მსოფლიოს ალპინისტთა ასეთი დიდი თავყრილობა, პირველად საბჭოთა კავშირის ისტორიაში, სწორედ თბილისში შემთხვევით არ გამართულა.

სამწუხაროდ, მთებთან ჭიდილს მრავალი ქართველი მთამსვლელი, მათ შორის საქვეყნოდ ცნობილი ალპინისტი შეეწირა. განსაკუთრებით ტრაგიკული აღმოჩნდა 80-იანი წლების დასაწყისი, რასაც ქართული ალპინიზმის ისტორიაში არნახული კატასტროფა მოჰყვა. ერთმანეთის მიყოლებით დაიღუპნენ ფრიად გამოცდილი, ცნობილი მთამსვლელები და ახალგაზრდა, პერსპექტიული ალპინისტები. ამას დაემატა ჩვენს მთამსვლელთა შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება და შუღლი, რამაც თავისი მწარე ნაყოფი გამოიღო. საბჭოთა ალპინიზმის მებაირახტრენი აუტსაიდერებად იქცნენ, მაგრამ უკანასკნელ წლებში სასიკეთო ძვრები შეინიშნება. მათ დალაშქრეს ჰიმალაის გოლიათები, თანაც „რვაათასიანები" — დედამიწის უმაღლესი მწვერვალი ჯომოლუნგმა და შიშა-პანგმა, ეს კი იმედს გვაძლევს, რომ ქართული ალპინიზმი თავის კუთვნილ ადგილს დაიბრუნებს.



ავთანდილ გურასაშვილი

ავტორის ფოტოები

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

## XII რბოლა

29 აგვისტო, ბელგიის „გრან-პრი". სპა-ფრანკორშამის ავტოდრომი
წრის სიგრძე 6940 მ
44 წრე (305, 360 კმ)



| | | |
|---|---|---|
| 1992 | მიხაელ შუმახერი | „ბენეტონი" |
| | საშუალო სიჩქარე 191,4 კმ/სთ | |
| 1991 | აირტონ სენა | „მაკლარენი" |
| 1990 | აირტონ სენა | „მაკლარენი" |
| 1989 | აირტონ სენა | „მაკლარენი" |
| 1988 | აირტონ სენა | „მაკლარენი" |

ქალაქ სპას მახლობლად მოწყობილი წრე „ფორმულის" 16 ტრასიდან ყველაზე გრძელია. ევროპაში ამ ერთ-ერთი უძველესი ტრასის ნაწილი ჩვეულებრივ შოსეს წარმოადგენს, დანარჩენი კი სპეციალური ჩქაროსნული გზის ნაწილია. ამ ორიგინალური „ჰიბრიდის" სხვადასხვა საფარი პილოტებს დამატებით სირთულეებს უქმნის. თუმცა იქ ორი, საკმაოდ გრძელი მონაკვეთიც არის, სადაც მაქსიმალური, მეექვსე სიჩქარით შეიძლება ჯირითი.

სასტარტო ნიშნული ისეთ ადგილასაა მოწყობილი, რომ უზარმაზარი სიჩქარით წამოსული ბოლიდები უცბად ცხვირწასატეხ ჩიხში ექცევიან: თითქმის 180 გრადუსიანი მოსახვევის წინ პილოტები იძულებულნი არიან მკვეთრად დაამუხრუჭონ, რაც თითქმის ყოველთვის დიდი შეხლა-შემოხლის მიზეზი ხდება.

სპაში გამარჯვებებით რეკორდსმენია ბრაზილიელი „ჯადოქარი" აირტონ სენა, რომელიც ხუთჯერ იყო ფინიშთან პირველი. მისმა მთავარმა ოპონენტმა, ფრანგმა ალენ პროსტმა სულ ორჯერ იმარჯვა, უკანასკნელად ექვსი წლის წინ. მომდევნო სამ რბოლაში კი ვერაფერი მოუხერხა სენას და სამჯერვე მეორე ადგილს „დასჯერდა". ასე, რომ ზეგ „პროფესორი" ყოველმხრივ შეეცდება როგორმე აჯობოს თავის „დაუძინებელ მტერს".

შარშანწინდელ რბოლაში შედგა „ფორმულის" ვუნდერკინდის, 22 წლის მიხაელ შუმახერის დებიუტი. ერთი წლის თავზე კი გერმანელმა პილოტმა სასწაული მოახდინა, როცა თავის სულ მე-18 რბოლაში შესძლო ბელგიის „გრან-პრის" მოგება.

საინტერესოა, რომ სენამაც სწორედ თავისი დებიუტის მეორე წელს გაიმარჯვა სპაში, სამი წლის შემდეგ კი მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა.

და ბოლოს, 36 წლის ბელგიელმა პილოტმა ტერი ბუტსენმა „ფორმულაში" ასპარეზობის 11 წლის მანძილზე ერთხელაც ვერ შეძლო მშობლიურ ტრასაზე გამარჯვება. მისი საუკეთესო მიღწევაა მესამე ადგილი 1988 წელს.

## «ქურციკებს» აწყენინეს

წინა კვირაში დასრულებულ ავსტრალია — სამხრეთ აფრიკის ტესტ-სერიას დიდი აურზაური მოყვა. დამარცხებულმა „ქურციკებმა" ერთობ იწყინეს „ვოლაბების" ტრიუმფი. სტუმრები გაუგულისებია თამაშის შემდგომ ამბებს: ავსტრალიელთა კაპიტანსა და კვაჭს ფილ კერნსს (ფოტოზე) საგანგებოდ დადგმული კვარცხლბეკიდან სამადლობელი სიტყვით მიუმართავს „სიდნი ფუტბოლ სტეიდიუმზე" შეკრებილი საზოგადოებისთვის, სტუმართა შორის კი იგივე პატივი არავის რგებია. როგორც „ქურციკთა" მწვრთნელმა იენ მაკინტოშმა აღნიშნა, „სამერმისოდ გადასახსინჯია სერიის შემდგომი პროცედურაო. მასპინძლებსაც მეტი თავშეკავება მართებდათ — ისე იქცეოდნენ, თითქოს ტესტ-სერია კი არა, რაიმე თასი მოეგოთო" (?!)



ავსტრალია ოქტომბერში ტურნეზე საფრანგეთს უნდა ეწვიოს. „მამლების" კაპიტანი ჯეფ ტორდო, რომელსაც ნაკრებში შერკინების ფრთაზეც უთამაშია და კვაჭადაც, ის იყო, მომჯობინდა ივნისში კეიპტაუნში გარი პეიგელისგან ნაწვნევი წიხლით დარტყმისაგან, რომ კვლავ დაშავდა. შაბათს, თავისი კლუბის — „ნიცის" თამაშში მან ფეხი ისე იტკინა, რომ საოპერაციო გაუხდა, რის გამოც ვერც „ვოლაბებს" დაუხვდება და გაისად ვერც ხუთი ერის პირველობაზე ითამაშებს.

„ვოლაბების" პარალელურად ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსმა" ინგლისი და შოტლანდია უნდა მოიაროს. ყველაზე შედეგიანმა ახალზელანდიელმა, ათმა ნომერმა გრანტ ფოქსმა (46 კეპი, 645 ქულა) გამოაცხადა, რომ ამ ტურნეზე სამსახურებრივი მოუცლელობის გამო ვერ ითამაშებს, რაც „ოლ ბლექსისთვის" ერთობ დიდი დანაკლისია, რაკიღა ზესაიმედო ფოქსის მოედანზე ოდენ ყოფნა გუნდს თავისი ძალების რწმენას ჰმატებდა. ფოქსს ისიც უთქვამს, რომ ნაკრებში დაბრუნება-არდაბრუნების გამო გაისად იანვარში ვიმსჯელებო.

ახალზელანდიელები ბრიტანეთში ბურჯ რიჩარდ ლოუსაც მოისაკლისებენ. ლოუმ შარშანდელ პროვინციულ ფინალში (ვაიკატო — ოტაგო) ოტაგოელ მცველ კუპერს ლამის იყო თვალი ამოსთხარა. რაგბის კავშირმა ლოუ განზრახ ქმედებაში ამხილა და ხანგრძლივი დისკვალიფიკაციაც „გამოუწერა". ლოუმ იჩივლა და სასამართლოს სასჯელი 6 თვემდე შეამცირებინა, დისკვალიფიკაციის პერიოდში კი საფრანგეთში გადასვლა და ერთ-ერთ იქაურ კლუბში თამაში მოისურვა. მაშინ ახალზელანდიელი რაგბის მამები ფრანგ კოლეგებს შეეხვეწნენ და ხულიგანი ლოუ უარით გამოასტუმრებინეს.

## კურიე აღზევდა

## ლეილამ მოიგო

## მარტინა კვლავ განთესეს

ორშაბათს, ნიუ-იორკში ჩოგბურთელთა „დიდი სლემის" ბოლო, მეოთხე ტურნირი — აშშ-ის ღია პირველობა (US OPEN) იწყება.



გუშინწინ ორგანიზატორებმა გამოაქვეყნეს განთესილთა სია და, შესაბამისად, სატურნირო ბადეც. განთესვა ტრადიციისამებრ ემყარება პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) რეიტინგებს, რომლებიც ორშაბათობით სისტემატურად ახლდება.

ამ ორშაბათის მონაცემებით ვაჟთა ლიდერი შეიცვალა. ოთხი თვის წინ უიმბლდონის ფინალში სამპრასმა კურიეს მოუგო და კლასიფიკაციაში პირველ ადგილზე გადავიდა, მაგრამ წინა კვირაში სამპრასმა წარუმატებლად იასპარეზა ინდიანაპოლისში და რეიტინგ-ლისტში კვლავ აღზევდა კურიე, რომელმაც ეს შეჯიბრება მოიგო.

მოხდა მეორე მნიშვნელოვანი ცვლილებაც. უკრაინელმა მედვედევმა გაიმარჯვა ნიუ-ჰეივენში და ათეულში შეიჭრა. რაც შეეხება ქალთა კლასიფიკაციას, მასში ბევრი არაფერი შეცვლილა.

ამასობაში ღია პირველობის სავარაუდო მონაწილეები უკვე ნიუ-იორკში შეკრებილან და ორ ტურნირში ასპარეზობენ. ერთი მათგანი კომაკში იმართება, მეორე — სკენექტადში. კომაკში უკეთესი შემადგენლობა შეიკრიბა. იქ „ჰამლეტ კაპი" თამაშდება. მარცხი შეემთხვა მეორე ნომრად განთესილ ბეკერს, ვისაც რუსმა ანდრეი ჩესნოკოვმა მოუგო 6:4, 3:6, 6:2. ბეკერმა ტურნირის დაწყებამდე ორგანიზატორებს შესჩივლა, სხეულიცა და სულიც გადამეღალა და თუ ნებას მომცემთ, არ ვითამაშებო, მაგრამ ტურნირის „მამებმა" არა ჰქნეს.

სხვა მოწინავეებს არა უჭირთ რა. ედბერგმა ბრეტ გილბერტს (აშშ) მოუგო 6:3, 6:0, შტრიხმა (4) — ფაბრის სანტოროს (საფრანგეთი) 2-1, შარშანდელმა გამარჯვებულმა კორდამ (6) — არნო ბეშს (საფრანგეთი) 6:2, 6:2, გორან ივანიშევიჩმა (7, ხორვატია) — მარკ გელნერს (გერმანია) 7:6, 6:3.

სკენექტადში, ვაჟთა ტურნირში ივან ლენდლმა (აშშ, 1) ორ ხელში დაამარცხა ფრანგი გიიომ რუ, ხოლო ემილიო სანჩესმა (ესპანეთი, 4) წააგო რიჩარდ ფრომბერგთან (ავსტრალია) 1:6, 3:6.

რაც შეეხება განთესვას ღია ჩემპიონატისათვის, ქალთა განლაგება მთლად ვერ მიჰყვება რეიტინგ-ლისტს. მხარში დაჭრილი სელეში კვლავ ვერ თამაშობს, ამიტომ განთესვის სიაში მონიკას ქვემოთ მყოფი ყველა ჩოგბურთელი თითო ადგილით აღზევდა. ნავრატილოვა ზედიზედ მეცხრამეტედ (19) განთესეს, რაც რეკორდია. აქამდე 18-18-ჯერ მარტინას გარდა მხოლოდ კრის ევერტი და ჯიმი კონორსი განეთესათ.

ვალერი ჯიქია

## მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა ათეულები

კაცები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | ჯიმ კურიე | აშშ | 3973 |
| 2. | პიტ სამპრასი | აშშ | 3766 |
| 3. | შტეფან ედბერგი | შვედეთი | 3114 |
| 4. | ბორის ბეკერი | გერმანია | 2844 |
| 5. | სერგი ბრუგერა | ესპანეთი | 2661 |
| 6. | მიხაელ შტიხი | გერმანია | 2392 |
| 7. | მაიკ ჩანგი | აშშ | 2141 |
| 8. | ანდრეი მედვედევი | უკრაინა | 2119 |
| 9. | პეტრ კორდა | ჩეხეთი | 2014 |
| 10. | რიხარდ კრაიჩეკი | ჰოლანდია | 2003 |

ქალები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | შტეფი გრაფი | გერმანია | 3461 |
| 2. | მონიკა სელეში | იუგოსლ. | 2486 |
| 3. | არანტა სანჩესი | ესპანეთი | 2408 |
| 4. | მარტინა ნავრატილოვა | აშშ | 2214 |
| 5. | კონჩიტა მარტინესი | ესპანეთი | 1584 |
| 6. | გაბრიელა საბატინი | არგენტინა | 1516 |
| 7. | მერიჯო ფერნანდესი | აშშ | 1512 |
| 8. | ჯენიფერ კაპრიატი | აშშ | 1359 |
| 9. | იანა ნოვოტნა | ჩეხეთი | 1275 |
| 10. | ანკე ჰუბერი | გერმანია | 1066 |

შენიშვნა: საჩოგბურთო რეიტინგების ათვლისას, ჭადრაკისაგან განსხვავებით, ქულათა დარიცხვა ქალთა და ვაჟთა ცხრილებში სხვადასხვა მასშტაბით ხდება. თვლის გასაადვილებლად უგულებელვყავით წილადის აღმნიშვნელი მძიმე.



## აქეთური, იქითური

ინდოეთის უშიშროების სასაზღვრო ძალებმა შეკრიბეს 37 მთამსვლელი და გადაწყვიტეს დედამიწის ერთ-ერთი ყველაზე ჰირვეული მწვერვალის ნანდადევის (7816 მ) დალაშქვრა. მწვერვალი ინდოეთის ჩრდილოეთით, ჩინეთის საზღვართან მდებარეობს. მოლაშქრეებს გადაწყვეტილი აქვთ ნანდადევის დაბა კუმაონის მხრიდან დაპყრობა. ამ ურთულესი მარშრუტით მყინვარზე ასვლა დღემდე მხოლოდ ორჯერ მოხერხდა. პირველად 1939 წელს ეს პოლონელებმა შესძლეს, მეორედ 1991 წელს კი ინდოეთ-სსრკ ერთობლივმა ექსპედიციამ.

*

სპორტი და პოლიტიკა „ძველი მეგობრები" რომ არიან, ეს ცნობილი ამბავია. ახლაც, მას მერე, რაც ჩინეთმა და ტაივანმა გულში ერთმანეთთან შერიგება ჩაიდეს და ერთმანეთს პრანჭვა დაუწყეს, დიპლომატიის სამსახურში სპორტიც ჩადგა. ორშაბათს ტაივანს ეწვია ჩინეთის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე ხე ჩუენლიანი და განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ პეკინს 2000 წლის ოლიმპიადის ჩატარების ნებას დართავენ, ზოგიერთი შეჯიბრება შესაძლოა ტაივანში ჩაატარონ. ჩინეთის ოკ-ის თავმჯდომარე მეზობლად, აზიის ქვეყნების ოლიმპიური კომიტეტების თავკაცთა შეკრებაზე დასასწრებად ჩავიდა. ტაივანელთა პასუხი ჯერ უცნობია, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ისინი გადაუხვევენ ჩინეთის მიმართ ცნობილი „სამი არას პოლიტიკას" — არავითარი კონტრაქტი, არავითარი მოლაპარაკება და არავითარი კომპრომისი.

*

სამშაბათს კიევში, უკრაინის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ნახევარმარათონი გაიმართა. მასში მონაწილეობდნენ თორმეტი ქვეყნის მორბენლები. ამ თორმეტი ქვეყნიდან შვიდი განვითარებული კაპიტალისტური სამყაროს წარმომადგენელი იყო. დილის ათ საათზე სპორტსმენებმა შეუტიეს მარშრუტს. მთავარი ჯილდოები ოდესელებმა მიიღეს. უკრაინაში კონცერნ „ვოლვოს" წარმომადგენელ კომპანიას „ვიკინგ მოტორზს", რეკორდის დამამყარებლისათვის ფირმის უახლესი მარკის მანქანა დაეწესებინა ჯილდოდ, მაგრამ შეჯიბრების შემდეგ ყველას ძველი მანქანით მოუხდა შინ დაბრუნება.

*

მსოფლიო კლასიფიკაციით ნომერ პირველმა სქვოშის მოთამაშემ, ავსტრალიელმა კრის დიტმარმა ავსტრალიის ღია პირველობაზე ასპარეზობისას მუხლი დაიშავა, რის გამოც ვერ მონაწილეობს ამჟამად მიმდინარე ჰონკონგის მსგავს შეჯიბრებაში. ტრავმა იმდენად სერიოზულია, რომ დიტმარი ალბათ ნოემბერში, პაკისტანის უდიდეს ქალაქ ყარაჩიში დანიშნულ WORLD OPEN-საც გამოაკლდება, რაც, უეჭველია, რეიტინგ-ლისტში მოწინავე ადგილის დაკარგვად დაუჯდება.

*

ჰოკეის ეროვნული ლიგის (NHL) გუნდს — „ოტავა სენატორსს" საგულისხმო ბრალდება წაუყენეს: გაზაფხულზე დამთავრებული სეზონის ბოლო თამაში განზრახ წააგო, ცუდი ადგილი რომ დაეკავებინა და ახალი სეზონისათვის ახალბედა მოთამაშეთაგან საუკეთესოების არჩევის უპირატესი უფლება მოეპოვებინაო. „სენატორები" ბრალდებას უარყოფენ, ლიგა კი საქმის ძირისძირამდე გამოძიებას აპირებს.

*

33 წლისა ველოსპორტს თავს ანებებს ფრანგი მრბოლი ლორან ფინიონი, ვინაც 1983-1984 წლებში ორჯერ მოიგო „ტურ დე ფრანსი", მაგრამ ოთხი წლის წინ „ტურებისათვის" უმცირესი სხვაობით — სულ რაღაც 8 წამით წააგო ამერიკელ გრეგ ლემონდთან. სამაგიეროდ, სარბიელზე გამოჩნდა ლეგენდარული ბელგიელის, ედი მერქსის ვაჟი აქსელი, რომელიც ხვალ, ოსლოში მიმდინარე მსოფლიო პირველობაზე მოყვარულთა 184-კილომეტრიან საგზატკეცილო რბოლაში იასპარეზებს.

აქეთური, იქითური


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით და პარასკეობით
ინდექსი 66441

რედაქციის მისამართი:
თბილისი 77, ალ. ყაზბეგის 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა
„მარდი"

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია

სარედაქციო კოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)